

შაქართველს სსრ განათლების სამინისტროს
ბრძანებითა და ინსტრუქციით

პრეპულო

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

4-5

აკრილი-მანისი



თბილისი - 1968

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963
წლის 8 მაისის ბრძანება № 352

„საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების
კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ სა-
ქართველოს სსრ რესპუბლიკაში“ საქართველოს სსრ
შმაღლესი საბჭოს 1963 წლის 27 აპრილის დადგენილე-
ბა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
მიერ 1963 წლის 8 მაისს მიღებული ბრძანება ამ დად-
გენილების ბაშო.

ვაქვეყნებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1963 წლის 27
აპრილის დადგენილებას საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი
სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ სა-
ქართველოს სსრ რესპუბლიკაში

„დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი
საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის
განხორციელების მდგომარეობის შესახებ საქართველოს
სსრ რესპუბლიკაში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა
საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ა. მ. თ. ვ. ლაშქარა-
შვილის მოხსენება და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალ-
ხო განათლების და კულტურის იმუდმივი კომისიის თავმჯდომე-
რის ა. მ. ი. მ. ბუაჩიძის თანამოხსენება საყოველთაო სავალდებუ-
ლო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების მდგომარე-
ობის შესახებ საქართველოს სსრ რესპუბლიკაში, აღნიშნავს, რომ ამ
მხრივ რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი იქნა განხორ-
ციელებული.

ძირითად ამოცანად დასახულ იქნა სწავლების მკიდროდ და-
კავშირება ცხოვრებასთან, კომუნისტურ მშენებლობასთან და ამ
ნიადაგზე ყოველმხრივ განათლებული, შეგნებული, შრომისმოყვა-
რე მოქალაქეების აღზრდა, რომლებიც ყოველთვის მზად იქნებიან

მოვალეობის და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით შეასრულონ კომუნისტური საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმე.

რესპუბლიკაში განხორციელებულია შეიღწილიანი სკოლებში რეორგანიზაცია რვაწლიან სკოლებად. ყველა საშუალო სკოლაში დაყვანილია საწარმოო სწავლებაზე.

ვარკვეული მუშაობაა ჩატარებული სკოლა-ინტერნატების ქსელის გაფართოებისათვის. რესპუბლიკის 65 სკოლა-ინტერნატში სწავლობს და იზრდება 18, 124 მოსწავლე.

საგრძნობლად გადიდდა მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს (ცელის) სკოლების მოსწავლეთა რიცხვი. 1962—1963 სასწავლო წელს ამ ტიპის სკოლებში 40 ათასამდე მოსწავლე ითვლება.

შრომამ სულ უფრო მკვიდრად მოიკიდა ფეხი სკოლის ცხოვრებაში. ბავშვთა სწავლება და აღზრდა წარიმართება მწარმოებლურ შრომასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში. შეიცვალა სასკოლო განათლების შინაარსი, სკოლებში დაინერგა ახალი მეთოდები, ამალდა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დონე, მოსწავლეთა ცოდნა უფრო მკვიდრი და საფუძვლიანი გახდა. გაუმჯობესდა მასწავლებელთა და სკოლის ხელმძღვანელთა ხარისხობრივი შემადგენლობა.

მნიშვნელოვნად განმტკიცდა სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა. უკანასკნელი სამი-ოთხი წლის მანძილზე საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი სასკოლო შენობები 64 ათასი მოსწავლის აღვლით, რის შედეგადაც საგრძნობლად გაიზარდა პირველი ცელის მოსწავლეთა რაოდენობა.

რესპუბლიკის ბევრ რაიონსა და ქალაქში სკოლაზე ზრუნვა საყოველთაო სახალხო საქმედ იქცა. აქარის ასს რესპუბლიკაში, ქ. ქუთაისში, ქ. რუსთავში, მახარაძის, ზუგდიდის, სიღნაღის, ლანჩხუთის, თელავის, გურჯაანის და სხვა რაიონებსა და ქალაქებში საწარმოებმა და კოლმეურნეობებმა უკანასკნელი სამი-ოთხი წლის მანძილზე სასკოლო ქსელს შემატეს ათობით კეთილმოწყობილი შენობა.

რესპუბლიკის ბევრ ქალაქში—თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში, ფოთში, რუსთავში, გორსა და ტყიბულში, აგრეთვე გეგეპკორის, გურჯაანის, სიღნაღის, ლანჩხუთის, ზუგდიდის, მახარაძის, ცაგერისა და ზოგიერთ სხვა რაიონში საყოველთაო განათლების სახელმწიფო გეგმები წარმატებით სრულდება.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კა-

ნონის განხორციელებაში სერიოზული ხარვეზებია. მთლიანად რესპუბლიკაში და აგრეთვე ცალკეული რაიონების მიხედვით სკოლებში მოსწავლეთა ჩაბმის გეგმა არადამაკმაყოფილებლად სრულდება. ბავშვთა გარკვეული რაოდენობა ჯერ კიდევ არ არის ჩაბმულთა სწავლებაში, მოსწავლეთა ნაწილი კლასიდან კლასში ვერ გადადის ან თავს ანებებს სწავლას სკოლის დამთავრებამდე.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა მოსწავლეთა კონტინენტის სახელმწიფო გეგმა შეასრულეს მხოლოდ 97, 8 პროცენტით, ამბროლაურის რაიონმა—95, 4 პროცენტით, ახალქალაქისამ—95, 6 პროცენტით, დუშეთისამ—97, 7 პროცენტით, ყაზბეგისამ—89, 4 პროცენტით, ლენტეხის რაიონმა—94, 9 პროცენტით. მოსწავლეთა კონტინენტის გეგმა არ არის შესრულებული აგრეთვე სამტრედიის, მესტიის, ცხაკაიას, ბოლნისისა და სხვა რაიონებში.

ჯერ კიდევ დიდია სკოლებიდან განთესილ მოსწავლეთა რაოდენობა. მარტო 1961—1962 სასწავლო წელს სკოლა დატოვა 22 ათასზე მეტმა მოსწავლემ. ამათგან საგრძნობი ნაწილი არსად არ სწავლობს.

რვაწლიანი სკოლის სრულ კურსს პირველ კლასში ჩარიცხულ მოსწავლეთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 65—70 პროცენტი ამთავრებს. იმ მოსწავლეებიდან, რომლებიც ჩარიცხულნი იყვნენ პირველ კლასებში 1955—1956 სასწავლო წელს, მე-8 კლასებში მეცადინეობას განაგრძობს მხოლოდ 71, 1 პროცენტი. ამ მხრივ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ბოლნისის, ლენტეხის, გეგუქორის, დუშეთის და თეთრი წყაროს რაიონებში.

ჯერ კიდევ სუსტია სკოლების მატერიალური ბაზა. 2529 სკოლა მოთავსებულია შეუფერებელ შენობებში, მაშინ როცა სასკოლო მშენებლობის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 80 პროცენტით. ყველა სკოლა არ არის უზრუნველყოფილი აუცილებელი დგამ-ავეჯით, ხოლო ახალი ავეჯის დამზადება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები და განათლების ორგანოები საკმაოდ არ ზრუნავენ სკოლებთან ინტერნატების გახსნისა და არსებული სასკოლო ინტერნატების კეთილმოწყობისათვის. ბევრ სასკოლო ინტერნატში არ არის შექმნილი სათანადო პირობები ბავშვთა ნორმალური ცხოვრებისა და მეცადინეობისათვის, ნაკლები ყურადღება ექცევა აგრეთვე გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისა და სკოლების გახსნას.

არ არის ორგანიზებული შორს მცხოვრები ბავშვების მიყვანა

სკოლაში და წაყვანა სახლში ტრანსპორტით. ზოგიერთ სკოლაში საყოველთაო სავალდებულო სწავლების ფონდი გამოყენებული არაა ხელმოკლე მოსწავლეებისათვის მატერიალური დახმარების გასაწევად. ბევრ სკოლაში არ არის მოგვარებული ბავშვთა კვების საკმარისად არასაკმაროდ არის გაშლილი სპეციალური სკოლა-ინტერნატების ქსელი ფიზიკური და გონებრივი ნაკლის მქონე ბავშვებისათვის.

რესპუბლიკის სკოლებში ჯერ კიდევ დაბალია სწავლების ხარისხი და მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, ხშირია მეორეწლიანობა. 1961—1962 სასწავლო წლის დამლევს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა საერთო რაოდენობიდან საგაზაფხულო და საშემოდგომო გამოცდების შედეგად დეტოვებულ იქნა იმავე კლასში 59, 659 მოსწავლე. ე. ი. მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 8, 84 პროცენტი. 1962—1963 სასწავლო წლის დამდეგისათვის მეორეწლიან მოსწავლეთა ამ რაოდენობიდან 4. 000 ბავშვი აღარ დაუბრუნდა სკოლას.

საჭირო მუშაობა ჯერ კიდევ არ არის ჩატარებული სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სახელმძღვანელოების სრულყოფისათვის. ნაკლებად ხდება მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა და დანერგვა სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლამდელი დაწესებულებების პრაქტიკაში.

ხშირად მოსწავლეთა მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში არ შეესაბამება მათი შრომითი აღზრდისა და საწარმოო სწავლების ამოცანებს. ზოგიერთ რაიონში მოსწავლეები სასწავლო საათებში ხანგრძლივად გაყავთ სამუშაოდ, რაც უარყოფით გავლენას ახდენს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, ბოლნისის, სამტრედიის, ყაზბეგის, ახალციხის, წყალტუბოს, მესტიის, სიღნაღის, დუშეთისა და ზოგიერთ სხვა რაიონში მთლიანად არ სრულდება მთავრობის დადგენილება სოფლის მასწავლებელთა უფასო კომუნალური (ბინა, გათბობა, განათება) მომსახურებით უზრუნველყოფის შესახებ. არადაამკმაყოფილებლად მიმდინარეობს სოფლის მასწავლებელთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

მშრომელთა დებუტატების ზოგიერთი რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასკომი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეს, სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვას არ ახდენს დაწესებულ ინსტრუქციის შესაბამისად, სხდომებსა და სესიებზე არ განიხილავს საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების განხორციელების საკითხებს და საჭირო ზო-

მებს არ ღებულობს იმისათვის, რომ სწავლებაში უკლებლივ ჩააბას სასკოლო ასაკის ბავშვები და მთლიანად შეინარჩუნოს მოსწავლე-თა კონტინგენტი, მოახდინოს ზემოქმედება იმ მშობლებსა ან მათ შემცვლელ პირებზე, რომლებიც ჯიუტად არიდებენ თავს ^{საგანმანათლებლო} სა და მოზარდების ჩაბმას სწავლებაში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო უდიდეს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებს საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განუხრელად განხორციელებას, უახლოესი წლების მანძილზე საშუალო სკოლის ფარგლებში საყოველთაო სავალდებულო განათლების თანმიმდევრულად შემოღებას და ადგენს:

1. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს:

ა) უზრუნველყონ საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების განუხრელად განხორციელება, გაატარონ ღონისძიებანი სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის სწავლებაში ჩასაბმელად და მოსწავლეთა კონტინგენტის მთლიანად შესანარჩუნებლად, მიიღწიონ იმას, რომ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი და მოზარდი უკლებლივ ამთავრებდეს რვაწლიანი სკოლის სრულ კურსს;

ბ) გადაშკრელი ზომები განახორციელონ ცალკე სკოლებისა და კლასების მიხედვით სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა აღსარიცხავად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1959 წლის 15 ივლისის № 579 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად და მტკიცე წესრიგი დაამყარონ სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვის საქმეში;

გ) ხელმოკლე მოსწავლეთათვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით გაატარონ საჭირო ღონისძიებანი საყოველთაო სავალდებულო სწავლების ფონდის გასაზრდელად და კონტროლი დააწესონ მის სწორად გამოყენებაზე; უზრუნველყონ სკოლიდან შორს მცხოვრებ მოსწავლეთა რეგულარული მიყვანა სკოლაში და წაყვანა სახლში ტრანსპორტით; შექმნან სასკოლო ინტერნატებში ბავშვთა ცხოვრებისა და მეცადინეობისათვის ნორმალური პირობები, უზრუნველყონ ისინი საჭირო რაოდენობის რბილი და მაგარი ინვენტარით, მოაგვარონ ბავშვთა კვების საქმე.

დ) გაზარდონ მშობლების ან მათი შემცვლელი პირების პასუხისმგებლობა ბავშვთა სწავლების საქმეში. იმ მშობლებისა და

მათი შემცველი პირების მიმართ, რომლებიც დროულად არ მარბარებენ ბავშვებს სკოლაში და არ უზრუნველყოფენ, რომ ბავშვებმა დაამთავრონ რვაწლიანი სკოლა. ფართოდ გამოიყენონ სწავლა გადობრივი და ადმინისტრაციული ზემოქმედების საშუალებები.

ე) წარმოებაში დასაქმებული მშობლებისათვის დახმარების გაწევისა და ბავშვთა უმეტესად ურეგულარის აღმოფხვრის მიზნით მიიღონ საჭირო ზომები გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების კონტინგენტის გეგმის შესასრულებლად;

ვ) სისტემატურად იზრუნონ მასწავლებელთა შრომისა და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნისათვის; მიიღონ სათანადო ზომები, რათა უზრუნველყონ ისინი იმ შედეგათებითა და უპირატესობით, რასაც ითვალისწინებს მთავრობის დადგენილებები;

ზ) გადაჭრით გააუმჯობესონ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახალხო განათლების მუდმივი კომისიების მუშაობა და მათი მეშვეობით მტკიცედ დარაზმონ ფართო საზოგადოებრიობა საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელებისათვის.

თ) სისტემატურად და გულდასმით შეამოწმონ საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების მიმდინარეობა და პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით დროულად მიიღონ ქმედითი ზომები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს:

ა) გადაჭრით გააუმჯობესონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა სკოლებში იმ მიზნით, რომ მოსწავლეთა სწავლება და აღზრდა მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ცხოვრებასთან, მწარმოებლურ შრომასთან; აამაღლონ მოსწავლეთა ზოგადი და პოლიტექნიკური მომზადების დონე, შეაიარაღონ ისინი მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნით და ამის საფუძველზე აღმოფხვრან მეორეწლიანობა;

ბ) მკვეთრად გააუმჯობესონ ბავშვთა აღზრდა ახალი ტიპის სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში: სკოლა-ინტერნატებში, გახანგრძლივებულ დღის სკოლებსა და ჯგუფებში; შექმნან ამ დაწესებულებებში ყველა პირობა ბავშვთა ნორმალური ცხოვრების, კვების სწორად ორგანიზაციისა და სამედიცინო სანიტარული მომსახურებისათვის;

გ) მიიღონ ზომები სკოლა-ინტერნატების ქსელის გაფართოებისათვის სოფლად;

დ) მაქსიმალურად უზრუნველყონ სკოლები სასწავლო კაბინეტებით, სახელოსნოებით, სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით და თვალსაჩინოების აუცილებელი მასალებით;

ე) გააძლიერონ მუშაობა მასწავლებელთა და განათლებულთა გის სხვა მუშაკთა იდეური დონის, საქმიანი კვალიფიკაციისა და პედაგოგიური დახელოვნების სისტემატური ამალღებისათვის;

ფართოდ დანერგონ იმ მოწინავე სკოლებისა და მასწავლებლების გამოცდილება; რომლებმაც მიაღწიეს კარგ შედეგებს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამალღებისა და მეორეწლიანობის აღმოფხვრის საქმეში.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და მისმა ქვემდებარე სამეცნიერო-საკვლეო და მეთოდურმა დაწესებულებებმა განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების არსებული სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სასკოლო სახელმძღვანელოების განტვირთვისა და გაუმჯობესების მიმართულებით. მკვეთრად ამალღდეს სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემის ხარისხი.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, აფხაზეთის და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, დაწესებულებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა მეტი მზრუნველობა გამოაჩინონ სახალხო მეურნეობაში დასაქმებული ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურულ-ტექნიკური დონის ასამალღებლად, მიიღონ ზომები საღამოს (ცვლის) და დაუსწრებელი სკოლების ქსელის გასაფართოებლად და ამ სკოლებში იმ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის მთლიანად ჩასაბმელად, რომლებიც დასაქმებული არიან სახალხო მეურნეობაში და რომლებსაც არა აქვთ მიღებული რვაწლიანი განათლება, შეუქმნან მათ ყველა პირობა იმისათვის, რომ წარმატებით ისწავლონ მუშაობისაგან მოუწყვეტლად.

5. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა გააუმჯობესონ სასკოლო და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სამედიცინო მომსახურება, გააძლიერონ კონტროლი სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების სანიტარულ მდგომარეობაზე.

6. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ საქირო ღონისძიებანი გაატაროს მოსწავლეთა ტანსაცმლის და ფეხსაც-

მლის და საბავშვო მოხმარების სხვა ნივთების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

7. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და კვების მინისტრომ რის გამგეობამ უზრუნველყონ სავაჭრო ქსელი მოსწავლე-სტუდენტების აუცილებელი მაღალხარისხიანი ტანსაცმელ-ფეხსაცმლითა და საბავშვო მოხმარების სხვა საგნებით, ქმედითი ზომები მიიღონ სასკოლო ბუფეტების ქსელის გაფართოებისა და ბავშვთა კვების არსებითად გაუმჯობესებისათვის.

8. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს სსრ მშენებლობისა და განათლების სამინისტროებს:

ა) მიიღონ ზომები სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების ასაშენებლად გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა მთლიანად და დროულად ათვისებისათვის, სისტემატური კონტროლი დააწესონ თითოეული ობიექტის მშენებლობაზე, გადაჭრით გააუმჯობესონ სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი და უზრუნველყონ ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემა დადგენილ ვადაში;

ბ) ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ, რათა მკვეთრად გააუმჯობესონ სკოლების, სკოლა ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების ელექტროფიცირება, წყლით, კანალიზაციით და ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფა. დროულად და რაციონალურად გამოიყენონ სასკოლო შენობების კაპიტალური რემონტისა და მოწყობილობის შესაძენად გამოყოფილი ასიგნებანი.

9. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა უფრო ფართოდ განახორციელონ არსებულ სასკოლო შენობებზე დამატებითი სასკოლო ოთახების მიშენება, რისთვისაც გამოიყენონ ადგილებზე არსებული სახსრები და საშუალებები; მიიღონ საჭირო ზომები, რომ 1963—1964 სასწავლო წლისათვის ყველა სასკოლო შენობა და ოთახი, დაკავებული სხვა ორგანიზაციებისა და კერძო მობინადრეების მიერ, დაუბრუნდეს სკოლებს.

10. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებს და უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ფართოდ გაშალონ სასკოლო მშენებლობა, ამ საქმეში გამოიყენონ საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის გამოყოფილი თანხები

და აგრეთვე საწარმოთა ფონდის სახსრების ნაწილი თანახმად პრა-
სებული დადგენილებითა.

11. მოწონებულ იქნას რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში
და მკვიდრებული პრაქტიკა ეკონომიურად ძლიერი კოლმეურნეობის
ბების ინიციატივითა და მათივე სახსრებით სასკოლო შენობების
მშენებლობისა და ამ მიმართულებით მომავალში კიდევ უფრო მეტად
გაფართოვდეს მუშაობა.

12. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღ-
ლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომი-
ტეტს მიიღოს ზომები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავ-
ლებელთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების შემდგომი
სრულყოფისათვის; გააუმჯობესოს მუშაობა პედაგოგიური ინსტი-
ტუტების სტუდენტთა მარქსისტულ-ლენინური აღზრდისათვის,
მათი ღრმა თეორიული ცოდნით და სკოლაში მუშაობის პრაქტი-
კული ჩვევებით შეიარაღებისათვის; დასახოს და განახორციელოს
ლონისძიებანი დაუსწრებელი სწავლების ორგანიზაციის გაუმჯობე-
სებისათვის. მასწავლებელთა ადგილობრივი კვალიფიციური კადრე-
ბით სოფლის სკოლების უზრუნველყოფის მიზნით, განსაკუთრებუ-
ლი ყურადღება მიაქციოს სოფლის ახალგაზრდობის უფრო მეტად
მოზიდვას პედაგოგიურ ინსტიტუტებსა და თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტში.

13. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს:

ა) მიიღოს ზომები სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის
განმტკიცებისათვის იმ ვარაუდით, რომ უახლოეს წლებში მკვეთ-
რად შემცირდეს ცვლიანი მეცადინეობა და ყველა სკოლასთან შეიქ-
მნას სახელსწიფო და სასწავლო კაბინეტები;

ბ) გაატაროს საჭირო ღონისძიებანი სკოლების, სკოლა-ინტერ-
ნატების, განხარძოლებული დღის სკოლებისა და ჯგუფების, სას-
კოლო ინტერნატების, სკოლამდელი და სხვა საბავშვო დაწესებუ-
ლებების ინვენტარითა და დგამ-ავეჯით უზრუნველსაყოფად. ამას-
თან დაკავშირებით მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული საბავშვო
დაწესებულებებისათვის სპეციალიზებული საწარმოს შექმნა, რო-
მელსაც დაევალება პედაგოგიურ მოთხოვნილებებთან შეფარდებუ-
ლი მსუბუქი, გამძლე და ლამაზი ავეჯის დამზადება.

გ) განიხილოს საკითხი იმის შესახებ, რომ ფიზიკური და გო-
ნებრივი ნაკლის მქონე ბავშვთა სწავლებისათვის გაფართოვდეს
სპეციალური ტიპის სკოლა-ინტერნატების ქსელი და უდედმამოდ
დარჩენილ ბავშვებსა და მოზარდებზე მზრუნველობის გაძლიერების
მიზნით გაიხსნას ახალი საბავშვო სახლები.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო რწმენას გამოთქვამს, რომ მშრომელთა დემოკრატიული ადგილობრივი საბჭოები, განათლების ორგანოები, მასწავლებლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საწარმო-დაწესებულებები, მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები და ფართო საზოგადოებრიობა ძალ-ღონეს არ დაზოგავენ რესპუბლიკაში საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განუხრელად განხორციელებისათვის და წარმატებით გადაწყვეტენ სკოლის წინაშე დასახულ ამოცანებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა მოთხოვნების შესაბამისად.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ბ. ძოწინიძე**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ზ. კვაჭაძე**

ქ. თბილისი, 1963 წლის 27 აპრილი.

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებისა და რესპუბლიკის ყველა რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებათა გამგებებმა ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებთან შეთანხმებით სათანადო მუშაობა ჩატარონ იმ მიმართულებით, რათა აღნიშნული დადგენილების შესრულების საქმეში აქტიურად იქნეს ჩაბმული მშრომელთა ფართო საზოგადოებრიობა.

2. მათვე მიმდინარე წლის 30 მაისამდე განახორციელონ საქირო ღონისძიებანი, რათა ყველა სკოლამ გულდასმით შეისწავლოს მის სამოქმედო უბანში საყოველთაო განათლების გატარების დარგში არსებული მდგომარეობა და უმაღლესი საბჭოს დადგენილების საფუძველზე შეიმუშაოს კონკრეტული ღონისძიებანი არსებული ნაკლოვანებების მთლიანად გამოსწორების მიზნით.

3. რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა სკოლებში ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის საფუძველზე უზრუნველყონ სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდთა სწავლებაში უკლებლივ ჩაბმის გეგმის შესრულება და დააწესონ სისტემატური ზედამხედველობა და კონტროლი ამ საქმეზე.

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საგეგმო-საფინანსო სამმართველოებს თავიანთ სამუშაო გეგმებში მთელი წლის განმავლობაში დაუთმონ ადგილი საყოველთაო განათლების კანონის განხორციელების მიმდინარეობის შემოწმებას და სკოლებისა და განათლების ორგანოებისათვის ამ საქმეში ადგილზევე საქმიანი დახმარების გაწევას.

5. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა ფართო ადგილი დაუთმონ საყოველთაო განათლების კანონის განხორციელების დარგში არსებული მდგომარეობის გაშუქებას.

6. 1963—1964 სასწავლო წლის განმავლობაში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომებზე საგანგებოდ იქნეს მოსმენილი ასსრ განათლების მინისტრების, ოლქისა და ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეების ინფორმაციები საყოველთაო განათლების კანონის განხორციელების შესახებ ავტონომიურ რესპუბლიკებსა, ოლქსა, რაიონებსა და ქალაქებში.

ინფორმაციათა განრიგი თან ერთვის.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ასსრ განათლების მინისტრების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგებების ინფორმაციების განრიგი საყოველთაო განათლების კანონის განხორციელების შესახებ ამტონომიურ რესპუბლიკებში, ოლქში, რაიონებსა და ქალაქებში

1963 წელი

სექტემბერი

აფხაზეთის ასსრ, ქ. ქ. რუსთავი, ზესტაფონი, თელავი, გურჯაანისა და მახარაძის რაიონები.

ოქტომბერი

აჭარის ასსრ, ქ. ქ. გორი, ზუგდიდი, ტყიბული, დუშეთისა და მაიაკოვსკის რაიონები.

ნოემბერი

სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქ. ქ. ბორჯომი, კასპი, წყალტუბო, ზესტაფონისა და მესტიის რაიონები.

დეკემბერი

ქ. ქ. თბილისი, საგარეჯო, ზუგდიდის, სამტრედიისა და ხაშურის რაიონები.

1964 წელი

იანვარი

ქ. ქ. ქუთაისი და სამტრედია, ამბროლაურის, ყაზბეგის, საჩხერისა და ცაგერის რაიონები.

თებერვალი

ქ. ფოთი, ახალქალაქის, ყვარლის, სიღნაღისა და ცხაკაიას რაიონები.

მარტი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქ. ჭიათურა, ახალციხის, გარდაბანის, ლანჩხუთის, თელავის და წყალტუბოს რაიონები.

აპრილი

ბოლნისის, გეგეჭკორის, გორის, ლენტეხის, მარნეულის, თერჯოლისა და თიანეთის რაიონები.

სკოლების სამმართველოს
უფროსის მოადგილე ბ. ფერაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წ. 10 აპრილის

ბრძანება № 280

ახალციხისა და ხაშურის რაიონების სალამოს (ცვლის) ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შემოწმების შედეგების შესახებ

ახალციხისა და ხაშურის რაიონების სალამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შემოწმების შედეგების შესახებ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილების მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, რომ შესწავლილ სკოლებში სრულიად არადადამაკმაყოფილებელი მუშაობა ტარდება აღნიშნული საგნების სწავლების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961 წლის 29 ივნისისა და 1962 წლის 12 ივნისის ბრძანებათა შესასრულებლად.

ზემოსხენებული რაიონების სალამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა დიდი ნაწილი არასაკმაოდ მუშაობს საკუთარი იდეურ-მეცნიერული და პედაგოგიურ-მეთოდური დონის ასამაღლებლად, გულდასმით არ ემზადება გაკვეთილებისათვის; გრამატიკისა და ლიტერატურის პროგრამებით გათვალისწინებული შესასწავლი მასალები ხშირად ერთმანეთისაგან მოწყვეტით, უინტერესოდ ისწავლება, რის გამოც საგრძნობლად დაბალია ამ საგნებში მოსწავლე ახალგაზრდობის მომზადების დონე.

სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები სათანადო კონტროლს, ხელმძღვანელობას და დახმარებას არ ახორციელებენ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მუშაობაზე.

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილების მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი, საჭირო დონის-

ძიებათა გასატარებლად განხილულ იქნეს რესპუბლიკის საღამოს
(ცვლის) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პე-
დაგოგიური საბჭოების სხდომებზე.

საქართველოს
შინა საქმეების
მინისტროს

2. ახალციხისა და ხაშურის რაიონების განათლების განყოფილებებმა (ამხ. ამხ. ბ. ახვლედიანმა და კ. მესხმა) ა/წლის 20 მაისამდე მოახსენონ განათლების სამინისტროს მათ მიერ გატარებულ ღონისძიებათა შესახებ.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილებამ (ამხ. რ. კანდელაკმა) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1963 წლის 29 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ვ. ლაშქარაშვილი



საქართველოს სსრ განათლების მინისტრს
ა. მ. თ. ვ. ლაშქარაშვილს

მოსხენებითი ბაკათი

ახალციხისა და ხაშურის რაიონების ხალამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შემოწმების შედეგების შესახებ

თქვენი დავალებით, მიმდინარე წლის 4-დან 14 მარტამდე შევისწავლე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობა ახალციხისა და ხაშურის რაიონების ხალამოს (ცვლის) სკოლებში. საკითხის შესწავლისას სათანადო ყურადღება მიექცა იმის გარკვევას, თუ რა მუშაობა ტარდება ადგილებზე აღნიშნული საგნების სწავლების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961 წლის 29 ივნისის № 460 და 1962 წლის 12 ივნისის № 518 ბრძანებათა შესასრულებლად.

შესწავლილ იქნა მუშა ახალგაზრდობის ხუთი და სოფლის ახალგაზრდობის ერთი სკოლის მასწავლებელთა მუშაობა, გარდა გაკვეთილების მოსმენისა და მათი ანალიზისა, მოსწავლეთა წერიითი მეტყველების კულტურის შესწავლის მიზნით, VIII და X კლასებში ჩატარდა საკონტროლო სამუშაოები.

შემოსხენებული რაიონების ხალამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის ზოგი მასწავლებელი სათანადო პასუხისმგებლობით ეკიდება მასზე მიმდობილ საპატიო საქმეს და ერთგვარ წარმატებასაც აღწევს; ასე მაგალითად, დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ხაშურის რაიონის სურამისა და ახალციხის რაიონის ასპინძის მუშა ახალგაზრდობის სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები კ. ფანქველაშვილი (იგივე დირექტორი) და ე. ყავრელაშვილი.

მასწავლებელი კ. ფანქველაშვილი გულმოდგინედ მუშაობს პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნებისათვის, დაკვირვებით გვემავს გაკვეთილს, ითვალისწინებს ხალამოს (ცვლის) სკოლის მუშაობის

პირობებს, შემოქმედებით მიდგომას იჩენს მათდამი, საქიროების შემთხვევაში ატარებს დამატებით საათებს და სხვ.

მიმდინარე წლის 11 მარტს VIII კლასში მასწავლებელმა ფანქველაშვილმა ჩაატარა ქართული ენის გაკვეთილი. 20 მარტს კლასი ლიდან გაკვეთილზე 17 გამოცხადდა. წინა მასალა იყო „მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება“. საშინაო წერითი დავალება თითქმის ყველა მოსწავლეს ჰქონდა შესრულებული. მოსწავლეები გარკვეულ ინტერესს იჩენენ რთული ქვეწყობილი წინადადების სტრუქტურის გაგებისადმი. ისინი დამაკმაყოფილებლად არჩევენ წინასწარ კარგად შერჩეულ საილუსტრაციო მაგალითებს. კლასის მოსწავლეთა თითქმის მთელი კოლექტივი აქტიურად იყო ჩაბმული მუშაობაში, რამაც გარკვეულად შეუწყო ხელი გაკვეთილის წარმატებას. კლასმა დამაკმაყოფილებლად აითვისა ახალი მასალა „მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება“.

მაგრამ, ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში ადგილი აქვს მთელ რიგ სერიოზულ, ზოგ შემთხვევაში კი აშკარად მოუთმენელ, ნაკლოვანებებს.

უპასუხისმგებლოდ მუშაობს ახალციხის რაიონის უდის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ა. კაჭკაჭიშვილი, რომელსაც უმადლესი პედაგოგიური განათლება აქვს მიღებული ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. მასწავლებელს აქვს სრულიად საკმაო სტაჟი, განათლება, მაგრამ ღალატობს პასუხისმგებლობის გრძნობა. ა/წ 5 მარტს მან VII კლასში, სადაც 11 მოსწავლიდან მხოლოდ 4 ესწრებოდა, ჩაატარა ქართული ენის სრულიად მოუმზადებელი გაკვეთილი. ა. კაჭკაჭიშვილს არ ჰქონდა გაკვეთილის გეგმა. გაურკვეველი აღმოჩნდა გაკვეთილის მიზანი. მასწავლებელმა მთელი დრო მოანდომა „ადგილის გარემოების“ გამოკითხვას და საილუსტრაციოდ იქვე, სახელდახელოდ შეთხზულ წინადადებათა გრამატიკულ გარჩევას. მოსწავლეები პასიურად ისხდნენ. მათ არ ჰქონდათ არც საკლასო და არც საშინაო დავალებათა რეგულაბი. გაკვეთილი დამთავრდა, მაგრამ მასწავლებელს კლასისათვის არავითარი დავალება არ მიუცია.

მასწავლებელი ა. კაჭკაჭიშვილი არ ზრუნავს მოსწავლეთა წერითი შეტყვევების განვითარებისათვის. იგი მიუტყვევებელ დამოკიდებულებას იჩენს მოსწავლეთა საკონტროლო ნამუშევართა გასწორებისადმი: თითქმის არ კითხულობს ნაწერს, შეუმჩნევლად ტოვებს ენობრივი, ფაქტობრივი ხასიათის მრავალ უხეშ შეცდომას

და მოსწავლის ცოდნას ლიბერალურად აფასებს: ასე, მაგალითად, IX კლასის მოსწავლე პ. ა. წერს (მოგვყავს უცვლელად, სიტყვა-სიტყვით): „თერგის როგორც დაპირილი ლომი ჰრბოდა და მისი ობლებდა, სქექდა და აქუხდა. თერგის იქით შორს მოწინადა და არაგვის იქით ქართლის ცხოვრების მოწმედ თვლის არაგვი, მას უყვარს იმიტომ რომ არაგვი კიდევ ქართველთა სისხლი გადასხმულია იქ სადაც არაგვი თავის კაშკაშა წყლის მტკვრის ტალღებს უერთებს როდესაც ტბილად და მშვიდობიანად ცხოვრობდა. ქართველი ერი მყინვარზე მდგომი მოხუცის თვალს არ იზიდავს“. საოცარია, რომ ამ და სხვა მოსწავლეთა ბევრ ამგვარად დაწერილ ნაშუშევრებში მოსწავლეების მიერ არც ერთი შეცდომა არ არის შენიშნული (!) ასე წერენ ამ კლასის მოსწავლეები ს. ბ., ს. ჭ. და სხვებიც, რომელთა ნაწერები აგრეთვე გაუსწორებელია და დადებითი ნიშნებითაა შეფასებული.

საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება იმიტომაც არის გამოწვეული, რომ სკოლის ხელმძღვანელობა (დირექტორი ს. მერაბიშვილი) ჯეროვნად ვერ წვდება მოსწავლეების მუშაობას და ვერ ხელმძღვანელობს მას. გასული წლის 29 დეკემბრის სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმში, სადაც სხვა საგნებთან ერთად ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მიმოხილვაცაა, სხვათა შორის, იკითხება (ოქმის სტილი დაცულია): „უნდა ითქვას, რომ მოსწავლეებები თავიანთ თავზე დაკისრებულ მოვალეობას ასრულებენ. ითვალისწინებენ ამ სკოლის ტიპიურობას (!). კარგად და მონდომებით მუშაობს მოსწავლეებელი ა. კაჭკაჭიშვილი, იგი სკოლის დირექციის ყოველგვარ დავალებებს პირნათლად ასრულებს, იცავს წერის ნორმებსა და სახეებს. V და X კლასში მას დაცული აქვს წერითი ნორმები და სახეები (!)“.“

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ქ. ახალციხის მუშა ახალგაზრდობის სკოლის (დირექტორი ს. ხოსიტაშვილი, სასწავლო ნაწილის გამგე ხ. ჩახალიანი) ქართული ენისა და ლიტერატურის მოსწავლეებელი ვ. ელიოსიძე. იგი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს გაკვეთილისათვის მომზადებას, არ ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნის დონეს, ქართული ენის გრამატიკის კურსის შესწავლისას საჭირო ადგილს არ უთმობს წინა კლასებში განვლილი მასალების განმეორებას, რომელთა საფუძვლიანი ცოდნის გარეშე არ დაიძლევა ახალი მასალა; აქ ამ საგნის სწავლება მოწყვეტილია ცოცხალ, სასაუბრო ენას, მხატვრულ ლიტერატურას. გრამატიკის სწავლებაში არ არის გამოყენებული თვალსაჩინო მასალები—სქემები, ტაბულები და სხვა, რის გამოც მოსწავლეებს არ აქვთ პროგრამით



გათვალისწინებული ელემენტარული საკითხების ცოდნაც კი; ასე, მაგალითად, მასწავლებელი VII კლასში ასწავლის „გარემოებას“, მაგრამ მოსწავლეებმა მორფოლოგიის კურსიდან არ იციან „ზნის ზედა“, აძლევს ახალ მასალას „სახელი ადგილის გარემოებად მდგომარეობით ბრუნვაში“, მაგრამ კლასმა არ იცის არა მარტო უთანტუნლო და თანდებულიანი მიცემითი ბრუნვის ფორმები, არამედ თვით თანდებულები და ბრუნვების სახელწოდებანიც კი. VIII კლასის მოსწავლეები ვერ ერკვევიან წინადადებათა სახეებში შინაარსისა და აგებულების (სტრუქტურის) მიხედვით, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ საერთოდ რთულ წინადადებასა და მის სახეებზე, საკავშირებელ სიტყვებზე, რთული ქვეწყობილი წინადადების კავშირებზე, დამოკიდებული წინადადების ადგილებზე, მართლწერის საკითხებზე და ა. შ.

აღნიშნული სკოლის X კლასის მოსწავლეებმა, რომელთაც მასწავლებელი ვ. ელიოსიძე ასწავლის, წერითი მეტყველებისა და საერთოდ განათლების მეტად დაბალი დონე გამოამჟღავნეს: 5 მარტს საკონტროლო წერა შეასრულა შვიდმა მოსწავლემ. აქედან „ძალზე ცუდი“ („1“) შეფასება მიიღო ერთმა, ცუდი („2“) ოთხმა და დამაკმაყოფილებელი („3“) კი — მხოლოდ ორმა მოსწავლემ.

ხაშურის რაიონის აგარის მუშა ახალგაზრდობის სკოლის (დირექტორი მ. ბერუაშვილი) ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ე. ბასიშვილი არადაამაკმაყოფილებლად მუშაობს ამ საგნების სწავლების აქტიური მეთოდებისა და ხერხების დასაუფლებლად, არ იცნობს სათანადო პედაგოგიურ-მეთოდიკურ ლიტერატურას, რის გამო, გრამატიკის სწავლებაში თავს ვერ ართმევს აბსტრაქტულ-ვერბალური სწავლების, კონკრეტული ლიტერატურული მასალისა და თვალსაჩინოებისაგან მოწყვეტილი სწავლების რეციდივებს. მასწავლებელმა ე. ბასიშვილმა, რომელმაც VI კლასში, დედუქციის გზით, თხრობისა და საუბრის მეთოდებით გადასცა „ცალკე მდგომი და შერწყმული თანდებულები“, არ გამოიყენა თვალსაჩინოება, მკვეთრად ვერ გამოყო ისინი ერთმანეთისაგან, მოსწავლეთა ცნობიერებამდე ვერ დაიყვანა მასალის შინაარსი, სრულიად არაფერი უთქვამს ზოგ, მათ შორის მომართ და მიმართ თანდებულებზე, არ ჩაუტარებია საკმაო მუშაობა ახალი მასალის ასათვისებლად და ბუნდოვნად მისცა საშინაო დავალებაც.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს აქვს ადგილი მშობლიური ლიტერატურის სწავლებაში. გაკვეთილზე ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მხატვრულ სიტყვას, ტექსტზე მუშაობას, პოეტიკის საკითხების გარკვევას. დიდტანიანი მხატვრული ნაწარმოების შეს.

წავლისას არ არის გათვალისწინებული სალაშქოს (ცვლის) სკოლების დროის ბიუჯეტი, არ ხდება მასალიდან ძირითადი და ამასთან ერთად, მოსწავლეთათვის დამოუკიდებლად ნაკლებ დასახელები საკითხების გამოყოფა. ამ საგნის სწავლებისას ჯერ კიდევ არ გამოვლინებულა ვადამწყვეტი ბრძოლა შაბლონის, სქემატიზმის, ფორმალური ზმისა და ე. წ. „შპარგალკომანიის“ წინააღმდეგ. ყოველივე ეს, ძირითადად, იმით არის გამოწვეული, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ერთი ნაწილი ნაკლებ დაინტერესებას იჩენს საკუთარი იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიურ-მეთოდური დონის ამაღლებისათვის, არ ეცნობა მოწინავე პედაგოგიურ აზრს, ჩამორჩება ცხოვრებას, რის გამო წარმატებას ვეღარ იჩენს საკუთარი მოვალეობის შესრულებაში.

ქ. ხაშურის მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლის (დირექტორი ივ. ტაბატაძე, სასწავლო ნაწილის გამგე შ. ზარხოზაშვილი) VI კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა მ. გოგოლაძემ მიმდინარე წლის 11 მარტს, როცა პრესაში ქვეყნდებოდა მრავალი დიდმნიშვნელოვანი მასალა სკკპ და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა ისტორიული შეხვედრების შესახებ ჩვენი ქვეყნის შემოქმედებით ინტელიგენციასთან, ისე გამოიკითხა აკ. წერეთლის ლექსი „პოეტი“ და გადასცა ახალი მასალა ვაჟა-ფშაველას ლექსი „სიმღერა“ („დამსეტყვე ცაო“), რომ სრულიად არ შეეხებია ხალხის ცხოვრებასთან საბჭოთა ლიტერატურის კავშირის დიად იდეას.

ხაშურის რაიონის სურამის მუშა ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებელი გ. შუბითიძე არ იცნობს ლირიკული და მცირე ზომის ეპიკური ლექსის სწავლების მეთოდიკას: ნ. ბარათაშვილის ლექსი „მერანი“ მან ორ ნაწილად გაყო—ჯერ პირველი ოთხი სტროფი მისცა შესასწავლად, შემდეგ დანარჩენი სტროფები. სათანადო ყურადღებას არ აქცევს კომენტირებულ გამომეტყველებით კითხვას და წაკითხულის შეგნებულად გაზეპირებას. მასწავლებელს ნ. ბარათაშვილის „მერანი“ არ შეუღარებია ადამ მიცკევიჩის—„ფარისისათვის“, მოსწავლეთა ყურადღება არ მიუქცევია „მერანზე“, როგორც ზოგადსაკაცობრიო იდეების მატარებელ გენიალურ ლექსზე, რომელშიც პოეტმა არასასურველი სინამდვილის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა იქადაგა.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ აგრეთვე ახალციხის რაიონის უდის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები შ. მერაბიშვილი და ი. თათენაშვილი.

ძალზე დაბალია ზოგიერთი სკოლის VIII—X კლასების მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურა: მათ არა აქვთ თავიანთი/ ცოდნის გარკვეული გეგმის მიხედვით, სწორად, ლოგიკური მიმდევრობით გადმოცემის უნარი; მეტიც: არაიშვიათად მართლწერის სრულიად ელემენტარული საკითხების უცოდინარობის შემთხვევებს. 6 მარტს უდის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის VIII კლასის (მასწავლებელი ი. თათენაშვილი) შეიღმა მოსწავლემ შეასრულა საკონტროლო წერა. მათგან „ძლიერ ცუდი“ („1“) შეფასება მიიღო ორმა მოსწავლემ, არადამაკმაყოფილებელი („2“) — ოთხმა და დამაკმაყოფილებელი („3“) — მხოლოდ ორმა. ანალოგიური შედეგები გამოვლინდა 11 მარტს ქ. ხაშურის მუშა ახალგაზრდობის სკოლის X კლასშიც (მასწავლებელი მ. გოგოლაძე), სადაც 13 მოსწავლიდან ძლიერ ცუდი („1“) შეფასება მიიღო ორმა მოსწავლემ, არადამაკმაყოფილებელი („2“) — ცხრამ და დამაკმაყოფილებელი („3“) — მხოლოდ ორმა მოსწავლემ.

მოსწავლეთა საკონტროლო წერით ნამუშევრებში ხშირად ვხვდებით ორთოგრაფიული, სტილისტიკური, სინტაქსური, პუნქტუაციური, ლოგიკური თუ ფაქტობრივი ხასიათის უხეშ შეცდომებს; ასე მაგალითად:

1. სიტყვებს „იმდროინდელი“, „ცხრაკლიტული“, „საბოლოოდ“, „ღირსშესანიშნავი“, „შეურაცხყოფა“, „ზედამხედველი“ და სხვ. წერენ ასე: „იმ დროინდელი“, „ცხრა კლიტული“, „საბოლოოდ“, „ღირს შესანიშნავი“, „შეურაწყობა“, „ზედა მხედველი“..

დეფისიტაა დაწერილი სიტყვები — „სტუმართმოყვარე“ და „ერთადერთი“.

მოსწავლეები უდევსოდ წერენ სიტყვებს „ადათ-ჩვევები“, „ერთ-ერთი“, „სახლ-კარი“.

X კლასის მოსწავლეებმა არ იციან მოთხრობით ბრუნვაში ორი მ-ს, მიცემითში ორი ხ-ს, ორი ზ-ს, ნათესაობითში ორი ი-ს, ე-ზე დაბოლოებულ სახელებში მრავლობით რიცხვში ორი ე-ს თავმოყრის შემთხვევები და წერენ: „კაპიტალიზმა“, „ინტერეს“, „ასპარეზე“, „ტრადიციის“, „სახები“.

არაიშვიათად ვხვდებით ვითარებით ბრუნვაში დასმული სახელების ბოლოს დ-ს ნაცვლად თ-ს ხმარების შემთხვევებს (სამუშაოთ, გულმოდგინეთ..).

2 VII—X კლასების მოსწავლეთა საკონტროლო წერით თემებში იკითხება სტილისტიკურად გაუმართავი ასეთი წინადადებები: „თემის წესით გამარჯვებულმა ვაჟაკმა მის მიერ მოკლულ მტერს მარჯვენა ხელის მტევანი უნდა მოაპრას და შინ მოიტანოს, რო-

გორც გამარჯვებული". „ილიამ აქვე გვიჩვენა, რომ მიუხედავად ბატონყმობა გადავარდნილია, მაინც მწვავე წინააღმდეგობაა თავად სა და გლახს შორის". „დათუა ცოლს გაუნაწყენდა რომ ^{ქვეყნის} ტომ საქმელი არ მიეტანა". და სხვ.

3. სინტაქსური ხასიათის შეცდომათაგან ხშირად შეინიშნება რიცხვში ქვემდებარისა და შემასპენელის, ბრუნვაში მსაზღვრელ-საზღვრულის შეუთანხმებლობის, რთულ ქვეწყობილ წინადადება-ში შემავალი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების წევრ-კავშირის (რომელიც...) წინ შემასპენლის (ხმნის) დაწერის შემთხ-ვეები, როცა მთავარი წინადადების ასახსნელი წევრი კორელატის გარეშეა წარმოდგენილი და ა. შ. ასე მაგალითად: „ერთმანეთს შეხვდნენ ორი მონადირე“. „ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში გარკ-ვეული ადგილს იკავებს ძველი თემური წყობილების ასახვა“. „ჯო-ყოლამ სტუმარი სახლში მიიპატიუა, რომელმაც თავისი ნამდვილი სახელი დამალა“. „ბუნების შგოსანმა დაგვიწერა უამრავი რომანები და პოემები“. „მწერალმა რომანში მოგვცა სხვადასხვა მოქმედი პირები“ და სხვ.

4. პუნქტუაციურ შეცდომებს მოსწავლეები ხშირად უშვებენ რთულ ქვეწყობილ წინადადებასა და ერთგვარ წევრთა შორის მძიმის დასმის, წერტილის, ორწერტილისა და სხვა სასვენი ნიშნე-ბის ხმარებისას განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით ისეთ შემთხვე-ვებს, როცა მოსწავლემ არ იცის „რომ“ კავშირის წინ მძიმის ხმარების წესი; ასე მაგალითად, „იერემია წარბა, რომ ბოროტია, ეს იქიდან ჩანს, რომ..“ აქ პირველი „რომ“ კავშირის წინ მოსწავ-ლე არასწორად ხმარობს მძიმეს.

5. ფაქტობრივი, და არა მხოლოდ ფაქტობრივი, ხასიათის შეცდომები აღინიშნება მოსწავლეთა ასეთ განცხადებაში: „ილია ჭავჭავაძეს თავის შემოქმედებაში ბევრი ნაწარმოებები აქვს დაწე-რილი, რომელთა შორისაც აღსანიშნავია ეპიზოდი ანუ რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან, ბაში-აჩუკი (?!), ოთარაანთ ქერი-ვი და სხვა მრავალი ნაწარმოები“. „გ. წერეთელი მოღვაწეობდა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში“.

6. საკონტროლო წერისას მოსწავლე უშვებს ასეთ ლოგიკურ შეცდომებს: იერემია წარბა იყო კარგი ვაჟაკი, მაგრამ ის ყოველ-თვის ცუდ და ბოროტ საქმეებს ეტანებოდა“.

7. საკონტროლო ნაწერებიდან გამოვლინდა აგრეთვე მოსწავ-ლეთა ლექსიკონის სიღარიბე, ზოგიერთი სიტყვის ლექსიკური მნიშ-ვნელობის უცოდინარობა; თხზულებებში ხშირად გვხვდება ერთი და იგივე სიტყვების თავმომაბეზრებელი განმეორება. წინადადება-

ში— „ვაჟა-ფშაველამ თავის ნაწარმოებებში სულიერად დაგვიხატა იმდროინდელი თემის წეს-წყობილება“ — მოსწავლეს აშკარად არ ესმის სიტყვა „სულიერის“ მნიშვნელობა; პროტმა მკვეთრად ასკვნის იმდროინდელი მთის ხალხის ცხოვრება და განსაკუთრებულად მისა და პიროვნების დაპირისპირება, თუ რამდენად მძლავრი იყო თემი და როგორ უნდა დამორჩილებოდა ხალხი თემს“.

მოსწავლეთა წერიითი მეტყველების ასეთი დონე, ძირითადად, იმით აიხსნება, რომ არ სრულდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდური მითითებანი წერიითი მუშაობის სახეების, რაოდენობისა და შეფასების ნორმების შესახებ; მოსწავლეებს არ ეძლევათ სხვადასხვა სახის წერიითი სამუშაო, უყურადღებოდ რჩება ნაწერებში დაშვებული მრავალი სხვადასხვაგვარი, მათ შორის ტიპობრივი, შეცდომა, სისტემატურად არ სწორდება საკლასო და საშინაო წერიითი ნამუშევრები და სხვ.

ახალციხისა და ხაშურის რაიონების სალამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სათანადო ყურადღება არ ექცევა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას: ხაშურის რაიონის სალამოს (ცვლის) სკოლების მასწავლებლები მასობრივი სკოლების მეთოდკომისიებში არიან გაერთიანებულნი მაშინ, როდესაც მათ თავისუფლად შეუძლიათ შექმნან თავიანთ სკოლებში ქართული, რუსული და უცხო ენებისა და ლიტერატურის მასწავლებელთაგან შემდგარი ციკლობრივი მეთოდკომისიები, ან სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანებანი. სათანადო სიმაღლეზე არ დგას მასწავლებელთა ინდივიდუალური მუშაობა საკუთარი პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნებისათვის: აგარის მუშა ახალგაზრდობის სკოლის მასწავლებელმა ა. ბასიშვილმა ვერ დაასახელა თავის საგანში გამოსაყენებელი ძირითადი პედაგოგიკურ-მეთოდური ლიტერატურა, არ იცნობს გაზეთ „კომუნისტში“ 1962—1963 წლებში გამოქვეყნებულ სტატიებს ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხებზე და სხვ.

ახალციხის რაიონის უდიხ სოფლის ახალგაზრდობის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდკომისიის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული არ არის ამ საგნების სწავლების ძირეული საკითხები: სასწავლო გეგმებისა და პროგრამების, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შესახებ განათლების სამინისტროს ბრძანებების განხილვა, წერიითი მეტყველების კულტურის ამაღლების ღონისძიებანი, მხატვრული ნაწარმოების ტექსტზე მუშაობა და სხვ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ სკოლებმა თითქმის აიღეს ხელი ღია გაკვეთილების ჩატარების წლებით განმტკიცებულ პრაქტიკაზე.

სათანადო პედაგოგიკურ-მეთოდოლოგიური მოთხოვნების დაცვების უზრუნველყოფის წინაშე არ დგება გაკვეთილების გეგმები; მათში არ არის აღნიშნული შესაფასებელ მოსწავლეთა გვარები, მეთოდები და ხერხები, რომლითაც ჩატარდება გაკვეთილი, სახელმძღვანელო, დამხმარე ლიტერატურა და თვალსაჩინო მასალები. არათანმიმდევრულად და მოუხერხებლად ისმება კითხვები მოსწავლეთა წინაშე.

ზემოაღნიშნული სკოლების უმრავლესობაში არ არის შექმნილი ლიტერატურული წრეები, არ გამოდის კედლის გაზეთები, არ წარმოებს სათანადო მუშაობა სკოლაში ერთიანი ენობრივი რეჟიმის შესაქმნელად. ქ. ხაშურის მუშა ახალგაზრდობის სკოლის კედლის გაზეთი „მოსწავლე მუშის ხმა“, რომლის რედაქტორია მასწავლებელი მ. გოგოლაძე, მკითხველს ვერც ფორმით იზიდავს და ვერც შინაარსით, მასში დაშვებულია სხვადასხვა ხასიათის მრავალი შეცდომა, რის გამო იგი ვერ ასრულებს დადებით როლს მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდაში.

უფერულად მუშაობენ ისედაც მცირე ლიტერატურის მქონე სასკოლო ბიბლიოთეკები, არ ჩანს მათი როლი მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში.

აღნიშნული რაიონების საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებას აგრეთვე დიდად უშლის ხელს სასკოლო სახელმძღვანელოების უქონლობა.

Недостаточно работают для привития учащимся культуры письма учителя: Н. Юсупова, В. Канделаки (3-я средняя школа); Т. Канделаки, Н. Георгадзе, Д. Джибладзе, Е. Гегидзе (24-ая средняя школа); Р. Алугишвили, Л. Мосесова (87-ая средняя школа); Н. Джиноридзе, М. Барткулашвили, Н. Дарахчева (111-ая средняя школа); А. Пиртахия, З. Гагидзе (112-ая средняя школа); Ж. Харатян, П. Дочвири, Е. Татулова (114-ая средняя школа). Большинство учащихся начальных классов пишут плохо, тетради грязные, записи в них ведутся небрежно, не систематически выполняются домашние работы. Недостаточное внимание уделяется тренировочным работам. Многие преподаватели вовсе не исправляют классно-домашние тетради.

Замечается однообразие в видах контрольных письменных работ, редко применяется такой вид работы, как пересказ прочитанного незнакомого текста. Некоторые учителя проявляют безответственность в деле исправления контрольных работ, поверхностно исправляют их, ставят завышенные оценки. Учительница С. Меликидзе (51-ая средняя школа) работу уч. М. Гогишвили, при наличии 5 ошибок, оценила на „5“. Невнимательно исправ-

ляют контрольные работы и пропускают ошибки также учителя Н. Юсупова (3-ья средняя школа), Н. Джиноридзе (111-ая средняя школа), Р. Алугишвили (87-ая средняя школа).

Хорошо организована внеклассная работа по изучению русской литературы в 100-ой средней школе. Помимо усвоения программного материала большое внимание уделяется работе по внеклассному чтению, что способствует лучшему усвоению программного материала и расширению общего кругозора учащихся. Хорошо налажена в этой школе также и работа литературного кружка учащихся. Учащиеся готовят доклады по вопросам, которые способствуют углублению знаний учащихся относительно творчества того или другого писателя.

Однако, в некоторых школах этой работе не уделяется должное внимание. Планы работ литературных кружков однообразны и неинтересны, доклады учащихся предварительно не проверяются, работа литературных кружков носит явно формальный характер.

В русских школах

Состояние преподавания русского языка и литературы изучено в 5 русских школах (3-ей, 52-ой, 111-ой, 114-ой и 116-ой).

Все учителя данной дисциплины этих школ имеют высшее специальное образование и значительный педагогический стаж работы.

Итоги успеваемости как первой, так и второй четверти говорят о том, что почти все учителя добились определенных успехов. Например, у тов. Ауце Н. Д. (116-ая средняя школа) в VII³ кл. из 34 учащихся не успевают 2 уч., в X классе из 30 уч-ся не успевают 1 уч., у тов. Чакветадзе М. А. (114-ая средняя школа)—в VI³ классе не успевают 2 уч., у тов. Арутюновой А. Г. (111-ая средняя школа) в VI классе все успевают и др.

Но есть учителя, у которых успеваемость все еще остается низкой. Например, у тов. Столовицкой А. А. (114-ая средняя школа) в VIII кл. в I четверти было 9 неуспевающих, во II—6 уч., у тов. Таренко А. И. (52-ая средняя школа) в VII кл. 11 уч., в VII—9 уч., у тов. Кукулдава С. Р. (3-ья ср. школа) в VIII⁴ кл. из 25 уч-ся 4 неуспевающих уч-ся. Есть отдельные случаи явного завышения оценок, что подтверждается анализом прослушанных

уроков и проверкой письменных работ. Например, у тов. Пирумовой Р. А. (111-ая ср. шк.), в VII, VIII и X классах 100% успеваемость, что не соответствует действительному положению. Вместе с этим, есть факты снижения успеваемости учащихся. Например у преп. Грдзелишвили Е. А. (116-ая средняя школа) во всех классах, где она работает, успеваемость во II четверти ниже, чем в I четверти. Вызывают удивления резкие колебания успеваемости в I и II четв. Например, у преп. Адамян (52-ой ср. шк.) в VIII² из 39 уч-ся в I четв. было 7 неуспевающих, а во II—2, в VIII³ кл. из 42—уч-ся было 4 неуспевающих а во II четверти —8 уч., в IX кл., из 33 уч-ся в I четв. было 5 неуспевающих, а во II четв.—ни одного.

Анализ прослушанных уроков показал, что в школах гор. Тбилиси работает много учителей, которые уроки проводят на высоком уровне, широко применяют в учебной работе прогрессивные методы преподавания с целью активизации учащихся, умело используют наглядность, систематически проводят словарную работу, много внимания уделяют эстетическому воспитанию и эмоциональному воздействию. Так, преп. Чакветадзе М. А. (114-ая средняя школа) уроки проводит на высоком методическом уровне, широко использует новые прогрессивные методы ведения уроков и добивается высоких показателей. В VI³ классе она начала урок со словарного диктанта. На доске были записаны отдельные слова, учащиеся самостоятельно составили предложения, употребив данные слова. Домашнее задание выполнили все учащиеся, и при проверке его выяснилось, что пройденный материал усвоен хорошо. Объяснение нового материала было проведено методически правильно. Задание на дом дано вовремя с объяснением.

Преп. Грдзелишвили Е. А. (116-ая средняя школа) в V³ классе начала урок с орфографической пятиминутки. Было предложено написать ряд слов (библиотека, староста, дисциплина, литература, карандаш, дежурный). Во время диктанта учительница обходила уч-ся и следила как они писали, большое внимание обращала на правописание слов; в качестве тренировочной работы учительница предложила вставить нужные орфограммы в слова, написанные ею на доске. При закреплении нового материала учительница провела комментированное письмо, разбор предложения, словарную работу. Такая разнообразная работа активизирует учащихся, заставляет работать весь класс и обеспечивает хорошие

знания пройденного материала. Хорошие уроки проводят преп. Ауце (116-ая средняя школа), Погосова Л. В. (3-я ср. шк.), Арутюнян А. Г. (111-ая средняя школа).

Однако следует отметить, что некоторые учителя проводят неподготовлено. Например, преп. Столовицкая А. А. (114-ая ср. школа) в VIII классе урок начала с проверки домашнего задания. Пять минут было затрачено только на то, чтобы просмотреть домашние тетради на партах с целью выяснения, кто выполнил и кто не выполнил домашнее задание. Затем в течение всего урока, после проверки домашнего задания, учительница вызывала к доске учащихся, которые под диктовку писали на доске предложения и объясняли правописание знаков препинания. Учащиеся обнаружили слабые знания пройденного материала. Учит. Качетелидзе Н. А. (52 ср. шк.) в течение 45 минут в VI³ классе выполняла одну и ту же форму работы—учащиеся выходили к доске и выделяли в предложениях наречия.

Большинство учителей выполняют нормы письменных работ. Проверяют их вовремя, работу над ошибками проводят методически верно, нормы оценок соблюдают. Учителя практикуют разнообразные виды работ. Однако замечены и отдельные недостатки. Как правило, почти все учителя не рецензируют сочинения учащихся старших классов, не делают попутных замечаний на полях при исправлении работ. Например, в X классе у учит. Шахпаровой Э. М. учащиеся, как правило, пишут несамостоятельно. Книжные штампы, стилистические ошибки, которые только подчеркиваются учительницей, схематичные планы и бедное содержание—характерные недостатки большинства работ. Тетради учащихся VIII³ класса у учит. Столовицкой А. А. имеют небрежный внешний вид. Учащиеся не соблюдают полей, не дописывают строчек, неправильно переносят слова, не соблюдают абзацев. Преп. Пирумова Р. А. (111-ая средняя школа) грубо нарушает нормы письменных работ и оценок, не выполняет норм слов в диктанте (в диктанте от 12. X.—77 слов, 25/IX—107 слов тогда, как норма—150—160 слов). Грубо нарушены также нормы оценок, например, ученик VIII кл. Хачатуров в диктанте от 12/X допустил 8 ошибок, а учительница выставила „3“, ученик Джимшлишвили в работе от 5/II допустил 4 ошибки, учительница пропустила две—выставлено „4“, ученик Явриян в работе от 5/II допустил 7 ошибок, выставлено „3“. Таких примеров можно привести

მного. Отсюда понятно, почему у преп. Пирумовой Р. А. „100% успеваемость“.

Во всех школах, как правило, работают предметные группы по плану. Хорошо поставлена эта работа у преп. Ахмедияшвили (116-ая средняя школа). В I полугодии старшеклассниками были проведены две экскурсии в Музей искусств Грузии, обсуждена книга Вальтера „До свидания, мальчики“, прослушан монтаж трагедии Шекспира „Отелло“, оформлена выставка репродукция с картин советских художников. Хорошо работают кружки также у преп. Погосовой Л. В. (3-я ср. школа), Пирумовой Р. А. (111-ая ср. школа) и др.

მათემატიკა

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ მათემატიკის მასწავლებლები თ. გიორგობიანი (51-ე სკოლა), რ. თათენაშვილი (87-ე სკოლა), თ. მერაბიშვილი, გ. სიბაშვილი, (112-ე სკოლა), ნ. კახიანი (111-ე სკოლა), მ. ნადაშვილი და ა. ბუდაგიანი (მე-3 სკოლა), ი. ლეცავა 24-ე სკოლა), შ. დალაქიშვილი და ქ. თინიკაშვილი (114-ე სკოლა); ვ. კაპლონოვი (52-ე სკოლა) და სხვ. დასახელებული მასწავლებლები მაღალ დონეზე ატარებენ გაკვეთილებს და სათანადო წარმატებებსაც აღწევენ მათემატიკური დისციპლინების დაუფლებაში, მაგრამ რიგ შემთხვევაში, მათემატიკის სწავლების საქმეში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს, ასე მაგალითად, 116-ე საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ნ. ოდაბაშვიცა საწარმოოსწავლებიან მე-9 კლასში სარგებლობს ათწლიანი სკოლის პროგრამით და ნაცვლად პლანიმეტრიისა ასწავლის სტერეომეტრიას; 111-ე საშუალო სკოლის X კლასის (მასწ. გ. ბაბუნაძე) მოსწავლეებმა აღგებრული მასალის ცოდნაში დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს. მათ მექანიკურად პქონდათ გაზებირებული მოქმედებათა შერჩევების წესები კომპლექსურ რიცხვებზე და მოქმედებათა წარმოებისას უშვებდნენ უხეშ შეცდომებს. რიგი მასწავლებლებისა მათემატიკის სწავლების დროს არ იყენებენ თვალსაჩინოებას, უგულვებელყოფენ მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას, ზეპირ და ნახევარწერით მეცადინეობას. ასეთ მდგომარეობას ადგილი აქვს მე-3 სკოლის VI² კლასში (მასწავლებელი ე. გოგიაშვილი); 87-ე სკოლის VII³, V³ და VI² კლასებში (მასწავლებლები ლ. წერეთელი, ი. მასხულია, ე. კიკაძეშვილი); 51-ე სკოლის V და VI¹ კლასებში (მასწავლებელი ლ. ობგაიძე), მე-100 სკოლის VIII კლასში

(მასწავლებელი ლ. ნოზაძე). ზოგიერთი მასწავლებელი არასერიოზულად ეკიდება პრაქტიკული ხასიათის ამოცანების ამოხსნაზე მუშაობას, მოსწავლეებს არ ავარჯიშებს თვალზომის განვითარებაზე და არ აწარმოებს უმარტივეს გეოდეზიურ სამუშაოებს. 111-ე საშუალო სკოლის VI კლასში (მასწავლებელი ტ. გურგენიძე) არ აღმოჩნდა მოსწავლე, რომელსაც სკოდნოდა თავისი ნაბიჯის სიგრძე ან ნაბიჯის სიდიდის გამომანგარიშების ხერხი. მასწავლებელი არ ავარჯიშებს კლასს გეოდეზიურ სამუშაოზე და არც საჭირო ხელსაწყო-იარაღები აქვს. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი 87-ე საშუალო სკოლის VII და X³ კლასებში (მასწავლებლები ლ. წერეთელი, ი. მასხულია), მე-3 საშუალო სკოლის XI¹ კლასში (მასწავლებელი ქ. წიქარიშვილი) და სხვ.

ზოგიერთი მასწავლებელი გულდასმით არ ასწორებს საკონტროლო წერით ნამუშევრებს და მათ შეფასებაში ლიბერალიზმს იჩენს. 87-ე საშუალო სკოლის VII² კლასის მასწავლებელი ლ. წერეთელი მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში ვერ ამჩნევს ფაქტობრივი ხასიათის შეცდომებს და ასეთ ნამუშევრებს მაღალი ნიშნით აფასებს. უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა შემოწმებულ სკოლაში მოუვლელია საშინაო-საკლასო სამუშაო რგვულები. ეს რგვულები არ სწორდება გულდასმით და მოსწავლეებს არ ეძლევათ საჭირო მითითებანი.

საერთოდ დასახელებულ სკოლებში სუსტადაა დაყენებული მუშაობა მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების გააქტივებაზე. მათ იშვიათად ეძლევათ პრაქტიკული ხასიათის ამოცანები; მოსწავლეები არ აღგენენ მათივე შრომასთან და წარმოებასთან დაკავშირებულ ამოცანებს. არ ეწყობა მიზნობრივი ექსკურსიები წარმოებებში იმის გასარკვევად, თუ სად და რაზე იყენებენ ამა თუ იმ მათემატიკურ კანონებს, თუ სად გამოიყენება გეომეტრიული ნაკვეთების მსგავსება; გამოზომი ხელსაწყოები, როგორ გამოიყენება წარმოებაში გრაფიკები და დიაგრამები, როგორ მონახონ მაგალითები სიდიდეთა პირდაპირ და უკუპროპორციულ დამოკიდებულებათა შესახებ და ა. შ.

ძალზე დაბალ დონეზეა მათემატიკის სწავლება დაყენებული 111-ე საშუალო სკოლის VII კლასში. ამ კლასში მათემატიკას ასწავლის ნ. ჭედელიძე, რომელიც უმაღლესი სასწავლებლის II კურსიდანაა გამოსული, ის ვერ ფლობს საგანსა და მისი სწავლების მეთოდებს, ამდენად მას არ შეუძლია ამ საგნის სწავლება საშუალო სკოლაში.

სკოლებში ჩამოყალიბებულია მათემატიკის საგნობრივი წრეები. აქვთ სამუშაო გეგმები, მაგრამ უფრო ხშირად ამ წრეების მუშაობა ატარებს ფორმალურ ხასიათს. მოსწავლეებს ნაკლებად ამაზღვრენ ნორმ მათემატიკოსთა ოლიმპიადებისათვის, ავლენენ მათემატიკური ნიჭითა და მიდრეკილებით დაჯილდოებულ მოსწავლეებს. წრეების სამუშაო გეგმაში მეტწილად გათვალისწინებულია ზოგადი ხასიათის თემები და ბავშვებს იშვიათად ამუშავებენ ოლიმპიადებისათვის განკუთვნილ ამოცანებზე. ასე, მაგალითად, მე-3 საშუალო სკოლაში მათემატიკის წრეში გაერთიანებულია VII, VIII, IX და X კლასების მოსწავლეები, მაგრამ ადგილზე არავის უდგირია იმაზე, რომ შეუძლებელია დასახელებული კლასების მოსწავლეთა ერთად მეცადინეობა მათემატიკაში. 24-ე საშუალო სკოლაში ჩამოყალიბებულ მათემატიკის წრეს, რომელშიც გაერთიანებული არიან VIII—X კლასების მოსწავლეები, არ აღმოაჩნდა სამუშაო გეგმა; სკოლა არ აწარმოებს მუშაობის აღრიცხვას, არ არის წრეში გაერთიანებულ წევრთა სიაც კი. 111-ე (რუსულ სექტორზე) და 116-ე საშუალო სკოლების IX—X კლასების მოსწავლეებისათვის არ არის შექმნილი საგნობრივი წრეები.

ფიზიკა

მასწავლებლები ს. მეტრეველი (112-ე საშუალო სკოლა), ნ. დადიანიძე (24-ე საშუალო სკოლა), ი. გარდიენკო (52-ე საშუალო სკოლა) მაღალ თეორიულ და მეთოდურ დონეზე წარმართავენ ფიზიკის სწავლებას, რაც იმის შედეგია, რომ ისინი ბევრთად მუშაობენ თავიანთი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის; ეცნობიან წარმოებათა ტექნიკურ-საფუძვლებს და ტექნოლოგიურ პროცესებს: ფიზიკის კურსის ძირითადი დებულების სწავლებას სათანადოდ უკავშირებენ იმ ცოდნა-ჩვევებს, რაც მოსწავლეებს მიღებული აქვთ საწარმოში და ცხოვრების პრაქტიკული გამოცდილებიდან; მოსწავლეებს აძლევენ მტკიცე ჩვევებს, რათა მათ ფიზიკაში მიღებული თეორიული ცოდნა შეგნებულად და გააზრებულად გამოიყენონ ცხოვრებაში პრაქტიკული საკითხების გადასაწყვეტად. მაგალითად, 112-ე საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა ს. მეტრეველმა მანქანათმშენებლობის მასწავლებელთან ერთად საწარმოში მე-9 კლასის მოსწავლეებს სახარატო დაზგასთან მუშაობის პროცესში აუხსნა სიჩქარეთა კოლოფის აგებულებისა და მისი პრაქტიკულად გამოყენების პრინციპები; გააცნო მოსწავლეებს როგორ ხდება საჭიროების დროს დაზგების ერთი და იგივე სიმძლავრით მუშაობის დროს მოძრაობის სიჩქარის შეცვლა სიჩქარეთა კოლოფის გამოყე-

ნებით. მასწავლებელმა ამ საკითხთან დაკავშირებით კლასს გაამეორებინა შექანიკის კურსიდან გავლილი მასალა (მოდრაობის კანონები, მუშაობა და სიმძლავრე) და პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებით ნათელი გახადა ახსნილი გაკვეთილი.

ეროვნული
საბავშვო

24-ე საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა ნ. დადიანიძემ მე-9 კლასში „გაზების დიფუზიის“ საკითხებთან დაკავშირებით კარგად გაარკვია საკითხები იმის შესახებ, თუ როგორ ხდება დიფუზიის გამოყენებით რკინის დეტალების ცემენტაცია. მან ამ საკითხთან დაკავშირებით მოსწავლეებს საილუსტრაციოდ უჩვენა როგორი თვისებით არის აღჭურვილი ასეთი წესით დამზადებული ე. წ.—„ბატავის ცრემლები“.

52-ე საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა ი. გარდინჯომ დგუშიანი ტუმბოების ახსნასთან დაკავშირებით კარგად გაარკვია, თუ როგორ ხდება ღრმა ჰიდან წყლის ამოქაჩვა წყალტუმბოების გამოყენებით; ამოხსნა პრაქტიკულ ამცანები და კონკრეტულად განიხილა, თუ როგორი წნევა უნდა განვითარდეს ტუმბოს კამერაში, რომ წყალი თბილისიდან წყნეთში იქნას აყვანილი (სიმაღლედ თბილისიდან წყნეთამდე აიღო 500 მეტრი).

კარგადაა მოწყობილი ფიზიკის კაბინეტ-ლაბორატორია 52-ე საშუალო სკოლაში (სკოლის დირექტორი გ. ჩერკასოვა, ფიზიკის მასწავლებელი ლ. კელსი); კაბინეტ-ლაბორატორიისათვის სპეციალურად მოწყობილი ორი ოთახია გამოყოფილი. კაბინეტ-ლაბორატორია უზრუნველყოფილია სადემონსტრაციო და მოსწავლეთა ლაბორატორიული სამუშაო მაგიდებით; ყველა მაგიდასთან მიყვანილია ცვლადი და მუდმივი დენი სპეციალური ჩამრთველებით, მოწყობილია დაბნელება ავტომატურად მოძრავი ფარდებით, გაყვანილია წყალსადენი; კაბინეტი შევსებულია ყველა საჭირო ძირითადი ხელსაწყო-იარაღით; ყველა ფრონტალურ-ლაბორატორიული სამუშაოსათვის განკუთვნილი ხელსაწყოები და მასალები ცალკე გამოყოფილ კარადებშია მოთავსებული; კაბინეტი საკმაოდ რაოდენობით არის შევსებული მოსწავლეთა თვითნაკეთი ხელსაწყოებით, მათ შორის შესანიშნავია: გაზების გარსადენის სადემონსტრაციო ხელსაწყო, ცენტრიდანული ძალების საილუსტრაციო მოწყობილობა, გამტარების კომბინირებული შეერთების სქემა, ჰიდროელსადგურის მოქმედი მოდელი და სხვ. სკოლის ყველა კლასში ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ცდები და ლაბორატორიული სამუშაოები. ამ სკოლის ფიზიკის მასწავლებელი ლ. კელსი ბასუხისმგებლობით ეკიდება ფიზიკის სწავლებას სკოლაში. კარგად მუშაობს ფიზიკის ლაბორანტი დ. კოზირევი.

მიუხედავად ამისა, შემოწმებით დადასტურდა, რომ ზოგიერთ სკოლაში ფიზიკის სწავლება ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო დონეზე, ამ საგნის სწავლების ფორმები და მეთოდები ვერ პასუხობენ იმ გაზრდილი ამოცანების გადაჭრას, რომლებიც სკოლის სწავლა მოსწავლე ახალგაზრდობის წინაშე დგას მოწინავე ტექნიკისა და თეორიული საკითხების შესწავლასთან დაკავშირებით. გამოირკვა, რომ შემოწმებული სკოლების დიდი ნაწილი ვერ არის უზრუნველყოფილი სათანადო სასწავლო ბაზით. ჯერ კიდევ ყველა სკოლაში არ არის გამოყოფილი ოთახები კაბინეტისათვის. არის შემთხვევები, რომ გამოყოფილი ოთახები შეუფერებელია და ძნელდება იმ პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება, რომლებიც ფიზიკის სწავლების საკითხებთანაა დაკავშირებული; არ ხდება კაბინეტების გეგმიანად შევსება; ნაკლები ყურადღება ექცევა კაბინეტების მოვლა-პატრონობის საქმეს. მაგალითად, 111-ე სკოლაში ფიზიკის კაბინეტისათვის გამოყოფილია მეტად პატარა ოთახი, სადაც შეუძლებელი ხდება მოსწავლეების მიერ პრაქტიკული მუშაობის ჩატარება, ფიზიკის ხელსაწყოები სკოლის სამეურნეო ინვენტართან ერთად საკუჭნაოშია მოთავსებული. შემოწმებული 10 სკოლიდან, გარდა ერთი—52-ე საშუალო სკოლისა, არსად არ არის შექმნილი სრულყოფილი პირობები პროგრამით გათვალისწინებული ყველა ცდისა და ლაბორატორიული სამუშაოს ჩატარებისათვის. არ არის მიყვანილი ელექტროდენი სადემონსტრაციო და ლაბორატორიულ სამუშაო მაგიდებთან, არ არის მოწყობილი დაბნელება. 87-ე და მე-100 სკოლებში ფიზიკის კაბინეტები ერთი და იგივე დასახელების ზედმეტი ხელსაწყოებით არის გადატვირთული, ნაცვლად იმისა, რომ კაბინეტი განეტვირთათ ასეთი ხელსაწყოებისაგან, პირიქით, ამჟამადაც განაგრძობენ კაბინეტების უგეგმოდ შევსებას, მაგალითად, 87-ე სკოლაში, სადაც ზედმეტი რაოდენობით აქვთ დენის გამომრთველი, 1962 წლის დეკემბერში იგი კიდევ დამატებით შეუძენიათ. ამ სკოლაში, ბევრი ძვირფასი ხელსაწყო არაწესიერი მოვლის შედეგად ხმარებიდან არის გამოსული. მე-3, 51-ე, 111-ე და 116-ე საშუალო სკოლების ფიზიკის კაბინეტის ხელსაწყოები ვერ აკმაყოფილებენ პროგრამით გათვალისწინებული ცდებისა და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებას.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი ნაკლებად იყენებს ფიზიკის კაბინეტის შესაძლებლობას. მთელი რიგი ძვირფასი და ფიზიკის სწავლებისათვის მეტად საჭირო ხელსაწყო უმოქმედოდ ძევს კარალებში, ანდა შეფუთული ინახება. 87-ე სკოლაში, სადაც მრავალი სახის სხვადასხვა ტიპის დენის გამომრთველი მოეპოვებათ და გა-

აჩნიათ უნივერსალური გამომრთველიც, ფიზიკის მასწავლებელი გ. შავლაყაძე მათ ვერ იყენებს და VIII—X კლასებში ცდების ჩატარებლად მათ ნაცვლად ჯიბის ფარნის პრიმიტულ ბატარეას ხმარობს. არიან ისეთი მასწავლებლებიც, რომლებიც ექსპერიმენტს ვერ წარმართავენ მიზნობრივად, მის საფუძველზე ვერ გამოაქვთ შესაფერისი დასკვნები და ხშირად მათ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი არ პასუხობს კლასის წინაშე დასმულ საკითხის შინაარსს. მაგალითად, მე-3 საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა ა. ბაღაშვილმა მე-8 კლასში ვერ მოახერხა მაგნიტური სპექტრის მიღებაზე ჩატარებული ცდა ეფექტური და თვალსაჩინო გაეხადა; არა-ზუსტი ცდის შედეგად გაკვეთილის ახალი მასალა კლასისათვის გაუგებარი დარჩა.

ნაკლებად ხდება ფიზიკის სწავლების დაკავშირება პრაქტიკულ საკითხებთან. მასწავლებლები ფიზიკის თეორიული მასალის ახსნისას ნაკლებად იყენებენ მოსწავლეთა პრაქტიკულ ცოდნასა და გამოცდილებას, რომლებიც მათ შრომითა და საწარმოო სწავლებისა და პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებით მიუღიათ. მაგალითად, 51-ე საშუალო სკოლის მასწავლებელმა ლ. ჩიკვაშვილმა VI კლასში პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებით, ვერ შესძლო ჩამოეყალიბებინა გაკვეთილის „წყალსადენის მოწყობილობის“ მიზანი. მან ამ მასალის ახსნისას ვერ გამოიყენა წინა გაკვეთილის მასალა „ზიარი ქურქლების თვისება“. მასალის ახსნის დროს დაკმაყოფილდა მხოლოდ სახელმძღვანელოში მოცემული სქემის ჩვენებით და სრულებითაც არაფერი თქვა იმის შესახებ, თუ როგორ არის მოწყობილი წყალსადენი თბილისში.

111-ე სკოლის მასწავლებელმა გ. ბაბუნაძემ IX კლასში „ჰუკის კანონის“ ახსნისას ვერ დააყენა პრაქტიკული საკითხები. იგი დაკმაყოფილდა მხოლოდ ფორმულის მათემატიკური გამოყვანით, არ შეჩერებულა ფორმულისა და ფორმულაში შემავალი სიდიდეების ფიზიკური შინაარსის განმარტებებზე, მოსწავლეებისათვის გაუგებარი დარჩა—„ფარდობითი წაგრძელების კოეფიციენტისა“ და „იუნგის მოდულის“ ფიზიკური არსი.

მე-3 საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა ა. ბულაშვილმა IX კლასში იზოთერმის გრაფიკის აგების დროს მოსწავლეებს მათემატიკის კურსიდან ვერ მოაგონა VIII კლასში გავლილი მასალა „შებრუნებული ფუნქციების გრაფიკები“, ვერ განუმარტა მოსწავლეებს, რომ იზოთერმი შებრუნებული ფუნქციის გრაფიკს წარმოადგენს. მასწავლებელმა ზედმეტი დრო დაკარგა იზოთერმის აგებაზე და, რაც მთავარია, ვერ გამოიყენა მათემატიკაში მიღე-

ბული ცოდნა ამ საკითხთან დაკავშირებით. ასევე, 87-ე და 116-ე სკოლის მასწავლებლებმა გ. შავლაყაძემ და ა. კარაევამ არასწორად ააგეს იზობარისა და იზოქორის გრაფიკები. 52-ე საშუალო სკოლის მასწავლებელმა ლ. გრიგორიევამ VIII კლასში ვერ მიახლოა მათემატიკის რაციონალური ხერხების გამოყენება ფიზიკის ამოცანის ამოხსნის დროს. მე-3, 51-ე და 87-ე სკოლების მასწავლებლები ა. ბალაშვილი და გ. შავლაყაძე მოუშადებლად ატარებენ გაკვეთილებს. მაგალითად, მასწავლებელმა გ. შავლაყაძემ IX კლასში— გეი-ლუსაკის კანონის ახსნისას მოსწავლეებს ვერ გააგებინა ამ კანონის შინაარსი; მოსწავლეებისათვის ამ გაკვეთილზე გაუგებარი დარჩა, თუ რას უდრის წყალბადის, ეანგბადისა და სხვა გაზების მოცულობითი გაფართოების კოეფიციენტი, მასწავლებელმა არასწორად დახაზა ვოლტმეტრში დამატებითი წინააღმდეგობის ჩართვის სქემა. გაუგებარი იყო დამატებითი წინააღმდეგობის ფორმულის გამოყენა; მოსწავლეებმა პრაქტიკულად ვერ შესძლეს ვოლტმეტრითა და ამპერმეტრით უცნობი წინააღმდეგობის განსაზღვრა. ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი მე-3 (მასწავლებელი ა. ბალაშვილი) საშუალო სკოლაში.

შესწავლილ სკოლებში არ არის მოგვარებული საწარმოო ექსკურსიების ჩატარება; მასწავლებლები ნაკლებად იცნობენ საწარმოო ექსკურსიებისათვის დაგეგმილ საწარმოებს, ყველა სკოლაში არ არის შედგენილი საექსკურსიო კვირეულის გეგმა.

ნაკლები ყურადღება ექცევა ფიზიკის წრის მუშაობას. წრეების მუშაობა ძირითადად თეორიული ხასიათის რეფერატების წაკითხვით ამოიწურება. ნაკლებად ხდება მოსწავლეთა მიერ თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადება და სკოლის კაბინეტში არსებული დაზიანებული ხელსაწყოების შეკეთება. აღსანიშნავია ისიც, რომ რესპუბლიკური და საქავშირო გამოფენისათვის სკოლებიდან წარმოდგენილი ნამუშევრები ზოგ შემთხვევაში არ წარმოადგენენ მოსწავლეთა დამოუკიდებელ ნამუშევრებს. შეინიშნება, რომ მოსწავლეებს ამუშავებენ ისეთი ხელსაწყოებისა და მოდელების დამზადებაზე, რომელთა მოქმედების პრინციპები თეორიულად მათთვის გაუგებარია.

სკოლები არ იცნობენ განათლების სამინისტროს 1961 წლის № 617 ბრძანებას, რომელიც რეაწლიან და საშუალო სკოლებში ფიზიკის სწავლების გაუმჯობესებას და სასწავლო კაბინეტების ინვენტარისა და მასალების აღრიცხვის, მოვლა-პატრონობის და გამოყენების საკითხებს შეეხება.



კარგად მუშაობს 52-ე საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელი ელ. შინასიანი. ამ სკოლის VIII კლასის მოსწავლეებმა მართულად წერენ ქიმიურ რეაქციათა ტოლობებს, გააზრებულად გადმოსცემენ ქიმიის ძირითად კანონებს, ერკვევიან მარილების მილების ხერხებში; IX კლასის მოსწავლეებმა კარგად იციან მეტალების ფიზიკური და ქიმიური თვისებები, უმთავრეს ქიმიურ ნაერთთა გამოყენების წესები. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში სკოლაში ქიმიის სასწავლო-მატერიალური ბაზის მხრივ ნორმალური პირობებია შექმნილი და ამასთან ერთად მასწავლებელი სწავლების პროცესში სისტემატურად იყენებს ქიმიური ექსპერიმენტის ყველა სახეს. სწავლების აქტივიზაციის მიზნით იგი მიმართავს ისეთი მეთოდების გამოყენებას, როგორცაა: საუბრის მეთოდი, მოსწავლეთა დამოუკიდებელი პრაქტიკული მუშაობა და სხვა.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ქიმიაში მასწავლებლები: ალ. აბესალაშვილი (24-ე საშუალო სკოლა), ზ. ჯაოშვილი და ბ. ტაბატაძე (87-ე საშუალო სკოლა), გ. ჯაოშვილი (მე-100 საშუალო სკოლა), ე. კარტოზია (მე-3 საშუალო სკოლის რუსული სექტორი). ამ სკოლების მოსწავლეები დამაკმაყოფილებლად ფლობენ გავლილ პროგრამულ მასალას ქიმიაში, გამომუშავებული აქვთ პრაქტიკული ხასიათის უნარ-ჩვევები, ერკვევიან წარმოებასა და ყოფაცხოვრებაში ზოგიერთ მნიშვნელოვან ნაერთთა გამოყენების საქმეში და სხვ. ამ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა ქიმიაში დამაკმაყოფილებელია იგი უზრუნველყოფს ქიმიის სწავლების ნორმალურად წარმართვას. ამასთან, ამ სკოლების მასწავლებლები საგნის სწავლების პროცესში იყენებენ ექსპერიმენტს, საწარმოო ექსკურსიებს, მოსწავლეებს ავარჯიშებენ ამოცანების ამოხსნაზე და ა. შ.

112-ე საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ნ. მაღლაფერიძე) მოსწავლეებმა გამომეჯდავენეს საკმაო თეორიული მომზადება. მასწავლებელი ფლობს საგანს, მაგრამ სკოლაში არ არის შექმნილი პირობები ქიმიის სწავლების ნორმალურად წარმართვისათვის, მოუწყობელია ქიმიის კაბინეტი, არ არის პროგრამის მიხედვით საჭირო სასწავლო თვალსაჩინო მასალა და სხვ.

მოსწავლეთა მომზადების ერთგვარი დაბალი დონე გამოიმეჯდა ქიმიაში 114-ე და მე-3 საშუალო სკოლების ქართულ სექტორებზე. ამ სკოლების IX კლასების მოსწავლეები სუსტად ერკვევიან ქიმიურ ელემენტთა პერიოდული სისტემის ჯგუფებსა და პერიოდებში, ქიმიური წონასწორობის ძირეულ საკითხებში, ელექ-

ტროლიტური დისოციაციის თეორიულ საფუძვლებსა და სხვა/ საკითხებში. აღნიშნულ სკოლებში ქიმიის სასწავლო-მატერიალურ/ ბაზა გამოუყენებელია (114-ე საშუალო სკოლა). ზიზულიძე

უნდა აღნიშნოს, რომ შესწავლილი სკოლების უმრავლესობაში საკმაო ყურადღება არ ექცევა თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობას. ქიმიის მასწავლებლებს სუსტი წარმოდგენა აქვთ სწავლების მწარმოებლურ შრომასთან შეერთების არსსა და მნიშვნელობაზე, არ ხდება შესწავლილ მასალათა კოორდინება მოსწავლეთა პროფესიულ მომზადებასთან დაკავშირებით. ქიმიის მასწავლებლები ნაკლებად იცნობენ იმ საწარმოებს, სადაც მოსწავლეები პროფესიულ მომზადებას გადიან.

114-ე და მე-100 საშუალო სკოლებში ზოგჯერ არ სრულდება სავალდებულო პრაქტიკული სამუშაოები, ხოლო, რაც ჩატარებულია, სათანადოდ არ ფორმდება, შეფასების ნიშნები არაა გადანაწილი საკლასო ჟურნალებში. 24-ე საშუალო სკოლის ქიმიის წრის სამუშაო გეგმა პროგრამულ საკითხებს მოიცავს. არ ჩანს მოსწავლეთა ვარჯიში თვითნაკეთი ხელსაწყოების დამზადებაზე, საკონსტრუქციო მუშაობაზე, ნივთიერებათა მიღებაზე და სხვა. მე-3, 52-ე და 87-ე საშუალო სკოლებში იშვიათად ტარდება როგორც ცალკე საგნობრივი, ისე კომპლექსური ექსკურსიები. ჩატარებული ექსკურსიების აღრიცხვა და გაფორმება არაა დამაკმაყოფილებლად სწარმოებს.

ბიოლოგია

ბიოლოგიის მასწავლებელთა ერთი ნაწილი შესწავლილ სკოლებში პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს, გულდასმით ემზადება გაკვეთილებისათვის, სწავლებაში საფუძვლიანად იყენებს თვალსაჩინოებას და აძლევს მოსწავლეებს მეცნიერების საფუძვლების მკვიდრ ცოდნას. ამათგან აღსანიშნავია ბიოლოგიის მასწავლებლები: თ. კუხალაიშვილი და ე. კარტოზია (მე-3 საშუალო სკოლა), ქ. აბრამიძე და მ. კვალაიშვილი (112-ე საშუალო სკოლა).

მე-3 საშუალო სკოლის X კლასის (მასწავლებელი ე. კარტოზია) მოსწავლეებმა დამაკმაყოფილებლად იციან ჰიბრიდული ნათესების გადარჩევის მნიშვნელობა და ევოლუციის დამამტკიცებელი საბუთები პალეონტოლოგიიდან, ემბრიოლოგიიდან და ბიოგეოგრაფიიდან. ახალი მასალა — „მენტორის მეთოდი, როგორც ჰიბრიდული ორგანიზმების მიზანმიმართული აღზრდის ერთ-ერთი მეთოდი“

მასწავლებელმა დამაჯერებლად ახსნა და საფუძვლიანად განაჩინა
კიკია დამატებითი კითხვების დასმით. მოსწავლეები აქტიურად იყ-
ვნენ ჩაბმული მუშაობაში. მასწავლებელი დაუფლებულია მასწავლებლის
და მისი სწავლების მეთოდებს.

კარგად მუშაობს ამ სკოლის ნორჩ ნატურალისტთა წრის
მევენახეთა სექცია. წრის წევრები არა მარტო უვლიან სკოლის
ეზოში გაშენებულ ვაზს, არამედ დაუმზადებიათ ყურძნის სველი
პრეპარატები, რომლის ნაწილი მოხსენებასთან ერთად გადაუგზავ-
ნიათ პიონერთა სასახლეში.

ანალოგიური მდგომარეობაა 112-ე საშუალო სკოლაშიც.

მიუხედავად ამისა, შემოწმების შედეგად გამოვლინდა რიგი
ნაკლოვანებები. 112-ე საშუალო სკოლაში არა აქვთ ცალკე ოთახი
ბიოლოგიის კაბინეტისათვის. სათვალსაჩინო მასალების ერთი ნა-
წილი სასწავლო ნაწილის გამგის კაბინეტშია შენახული, ხოლო
ნაწილი დერეფნებში დადგმულ კარადებშია მოთავსებული. 114-ე
საშუალო სკოლაში ბიოლოგიის ხელსაწყო-იარაღები და ტაბულები
ერთ პატარა ოთახში აწყვია. არა აქვთ ადამიანის ჩონჩხი და ტა-
ბულები, რის გამოც ადამიანის ანატომიის, ფიზიოლოგიისა და
პიგიენის სწავლება ძირითადად ზეპირსიტყვიერად მიმდინარეობს.

მე-3 და მე-100 საშუალო სკოლებში ბიოლოგიის კაბინეტები
პატარა ოთახებშია მოთავსებული. კაბინეტები არ არის მოწყობილი
მასწავლებელთა და მოსწავლეთა მოხერხებული მუშაობისათვის,
არა აქვთ სადემონსტრაციო მაგიდები, ხოლო, მე-3 საშუალო სკო-
ლის ბიოლოგიის კაბინეტში მოსწავლეებს ჩვეულებრივ მერხებზე
უხდებათ მუშაობა.

ბიოლოგიის მასწავლებელთა ერთი ნაწილი სათანადოდ არ
არის დაუფლებული პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული
და ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარების საქმეს. არ იცნობს
ზოგიერთ სადემონსტრაციო ხელსაწყო-იარაღს, რის გამოც იგი
გამოუყენებელი აწყვია კაბინეტში.

შემოწმებული სკოლების ერთ ნაწილში არა აქვთ შედგენილი
საცდელ-პრაქტიკული მუშაობის გრაფიკი სოფლის მეურნეობაში,
რომელშიც განსაზღვრული უნდა იყოს, თუ რა სახის სამუშაო უნ-
და შესრულდეს, სად და როდის.

რიგი ნაკლოვანებებით ხასიათდება საზოგადოებრივ-სასარგებ-
ლო შრომის სწავლება. საკლასო ჟურნალების გადათვალისწინებით
დადასტურდა, რომ მოსწავლეები ძირითადად ერთი და იგივე სა-
ხის სამუშაოს (საკლასო ოთახების, კაბინეტების, სკოლის ეზოს
დასუფთავება) ასრულებენ და უგულებელყოფილია სასწავლო პროგ-

რამით გათვალისწინებული საკითხების შესრულება. არის ისეთი შემთხვევაც, როცა კლასში ყველა მოსწავლე ერთი და იგივე სახით დავალებას ასრულებს. 112-ე საშუალო სკოლის VI² კლასში ფასკულაში ლეთა ერთ ნაწილს სამი კვირის განმავლობაში არაერთხელ ნაწილობა არ მიუღია საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში.

გაკვეთილების ცხრილში არ არის დაცული სასწავლო საგნების სახელწოდება ბიოლოგიაში და ბიოლოგიური დისციპლინები ცხრილში გათვალისწინებულია სათანადო შუალედების გარეშე. მაგალითად, 112-ე საშუალო სკოლის V¹ კლასში ბოტანიკა გათვალისწინებულია ოთხშაბათსა და ხუთშაბათს, ადამიანის ანატომია, ფიზიოლოგია და პიგიენა VIII კლასში — პარასკევსა და შაბათს, ხოლო მე-3 საშუალო სკოლის რუსული სექტორის X კლასში დარვინიზმის საფუძვლები — ხუთშაბათსა და პარასკევს.

ისტორია

კარგად არის დაყენებული ისტორიის სწავლება 112-ე (მასწავლებელი გ. ჯინჟარაძე), 114-ე (მასწავლებელი გ. მურჯიკელი), მე-100 (მასწავლებელი დ. შალამბერიძე), 24-ე (მასწავლებელი ო. გაჩეჩილაძე), 111-ე (მასწავლებელი გ. ციციქიშვილი), 87-ე (მასწავლებელი მ. სვანიძე) საშუალო სკოლებში. დასახელებული მასწავლებლები გულმოდგინედ და ბეჯითად ემზადებიან ყოველი გაკვეთილისათვის, ისინი გაკვეთილებზე მკაფიო და მხატვრული თხრობით აღადგენენ მოსწავლეთა წინაშე შესასწავლ ისტორიულ პერიოდსა და მოვლენებს. რუსი ხალხის ისტორიას აშუქებენ სსრ კავშირის სხვა ხალხების ისტორიასთან კავშირში. უჩვენებენ ჩვენი ქვეყნის ხალხთა ხანგრძლივსა და საერთო ბრძოლას რუსი ხალხის შეთაურობით ცარიზმის, მემამულეების, კაპიტალისტებისა და უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ. მოსწავლეებს ნათლად წარმოუდგენენ სსრ კავშირის ხალხების გადამწყვეტ როლს მსოფლიო ისტორიისა და კულტურის განვითარებაში.

შესწავლილი სკოლების იმ კლასების მოსწავლეებს, სადაც დასახელებული მასწავლებლები ასწავლიან, აქვთ ისტორიული შოვნებისა და ფაქტების შეგნებული, მტკიცე და ღრმა ცოდნა.

არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს 111-ე და 24-ე საშუალო სკოლების მოსწავლეებმა (მასწავლებლები გ. მუშკუდიანი და გ. მსუქნიშვილი), მათ არ იციან ისტორიული მეცნიერების ცნება და ისტორიული ცოდნის წყაროები, პირველყოფილ ადამიანთა ცხოვრება, ძველი აღმოსავლეთის, ძველი საბერძნეთის,

ძველი რომის ისტორიის ძირითადი საკითხები, ადრინდელი ფეო-
დალური პერიოდისა და შუა საუკუნეების ისტორიისათვის და
ხასიათებელი ნიშნები, სსრ კავშირის, საქართველოსა და ახალი
ისტორიის ძირითადი საკითხები.

შესწავლილი სკოლების მასწავლებელთა დიდი ნაწილი გაკვე-
თილებზე თავიანთ თბრობას მხოლოდ სახელმძღვანელოს მორიგი
პარაგრაფით შემოფარგლავენ. არ ახდენენ სახელმძღვანელოს ძი-
რითადი დებულებების დაკონკრეტებას დამატებითი ლიტერატუ-
რის, თვალსაჩინოების, მხატვრული ლიტერატურისა და ისტორიული
დოკუმენტების ცალკეული ადგილების გამოყენებით. არ იყენებენ
ძველი მსოფლიო ისტორიის, შუა საუკუნეების, სსრ კავშირისა და
ახალი ისტორიის ცალკეული მომენტების ამსახველი სურათებისა
და ტაბულების კომპლექტებს და ქრონოლოგიურ ბარათებს. არ
წარმოებს ეკრანის სხვადასხვა საშუალებების (დიაპოზიტოების,
დიაფილმების, სასწავლო და მხატვრული კინოფილმების) გამოყე-
ნება სწავლებაში.

სათანადო დონეზე არ დგას კლასგარეშე მუშაობა. შესწავლილ
სკოლებში არაა მოწყობილი ისტორიის კლას-კაბინეტები, არ წარ-
მოებს სამხარეთმცოდნეო მუშაობა.

გეოგრაფია

შესწავლილ სკოლებში გეოგრაფიის გაკვეთილებზე დასწრე-
ბით, მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებით, მოსწავლეთა კლასგარეშე
მუშაობის გაცნობით გამოვლინდა, რომ მასწავლებელთა ერთი ნა-
წილი მუშაობს სიყვარულით და ზრუნავს გეოგრაფიის სწავლების
სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის. ამ მხრივ გამოირჩევიან ნ.
ქარსიძე (114-ე საშუალო სკოლა), ე. რობაქიძე და ნ. ბელოზორო-
დოვა (მე-3 საშუალო სკოლა), ლ. შაუთიძე (116-ე საშუალო სკო-
ლა), გ. სპანგენბერგი და ი. ვაინშტიინი (52-ე რუსული საშუალო
სკოლა). დასახელებული მასწავლებლები პასუხისმგებლობით ემზა-
დებიან თითოეული გაკვეთილისათვის, დაუფლებული არიან საგანს
და მისი სწავლების მეთოდებს, საგანს ასწავლიან კარგად. ისინი
მოსწავლეებისაგან მოითხოვენ არა მარტო თანმიმდევრულ თბრო-
ბას ბუნების ცალკეული ელემენტების შესახებ, არამედ მათი სამე-
ურნეო მნიშვნელობის, მათი გამოყენების ცოდნას, ბუნების ობიექ-
ტებსა და მოვლენებს შორის (მაგ., რელიეფსა და მდინარეებს
შორის, გეოგრაფიულ განედსა და ჰავას შორის, ჰავასა და მცენა-
რეულობას შორის) კავშირურთიერთობათა გარკვევას, ნერგავენ

გეოგრაფიულ რუკაზე სწორადი ორიენტირების უნარს, რის შედეგადიც მათი მოსწავლეები საფუძვლიან ცოდნას ამჟღავნებენ საგანში.

ნ. ქარსიძემ VII² კლასში „სსრ კავშირის სასარგებლო წიაღისეულის“ ახსნისას მოსწავლეები აქტიურად ჩააბა მუშაობაში მასწავლებელმა დალაგებული თბრობით მოსწავლეებს სწორი წარმოდგენა მისცა ლითონურ, ენერგეტიკულ, ქიმიურ და სამშენებლო წიაღისეულის თავისებურებებსა და მათ სამეურნეო მნიშვნელობაზე. ამასთანავე ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირს უმნიშველოვანესი სასარგებლო წიაღისეულების მარაგით ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. მასწავლებელი მიმართავს თვალსაჩინოებას (კლასს უჩვენა სასარგებლო წიაღისეულის ზოგიერთი ნიმუში) და კარგად იყენებს რუკას.

მასწავლებელმა ლ. შაუთიძემ (116-ე რუსული საშუალო სკოლა) IX² კლასში თემა — „ქვემო დონისა და ჩრდილო-კავკასიის მოსახლეობა და მეურნეობა“ მიმზიდველად და მოსწავლეთათვის გასაგებად ახსნა. გასაგებად გააშუქა საკმაოდ რთული საკითხი, როგორც არის „დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობა კომუნისტების აშენების აუცილებელი პირობა“. კლასს წაუკითხა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებიდან ნაწყვეტი კრასნოდარის მხარეში მარცვლეული კულტურის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში მოპოვებული მიღწევების შესახებ და ამით ნათელი წარმოდგენა მისცა მათ კრასნოდარის მხარის, როგორც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ბელის მნიშვნელობაზე. ლ. შაუთიძემ ასევე კარგად ჩაატარა გაკვეთილი VIII¹ კლასში თემაზე — „აღმოსავლეთ კავკასიონი“.

მასწავლებელმა ი. ვაინშტეინმა (52-ე რუსული საშუალო სკოლა) IX⁴ კლასში „დასავლეთი ციმბირის მდებარეობა და ბუნებრივი პირობები“, შინაარსიანად და საინტერესოდ ახსნა: ჯერ მოსწავლეთა საშუალებით გაარკვია საზღვრები და რელიეფის თავისებურებანი, რის შემდეგ მოახდინა მთელი რაიონის ბუნებრივი პირობების სამეურნეო შეფასება; მასწავლებელს კარგად ეხერხება თბრობის პარალელურად სხვადასხვა შინაარსის რუკების სწორად გამოყენება.

ბ. სანაძე და ქ. შენგელია (მე-100 საშუალო სკოლა), მ. მამალაძე (112-ე საშუალო სკოლა), ბილაშვილი (24-ე საშუალო სკოლა), ნ. ზარიძე (87-ე საშუალო სკოლა), გ. მურჯიკნელი (114-ე საშუალო სკოლა) მუშაობენ დამაკმაყოფილებლად და მათი მოსწავლეები ამჟღავნებენ საკმარის ცოდნას საგანში.

მ. ფეტურს (მე-3 საშუალო სკოლა), ნ. გეთაშვილს (114-ე საშუალო სკოლა), მ. კოლიაშვილს (მე-100 საშუალო სკოლა), მ. 5. კრებულნი

სეფაშვილს (87-ე საშუალო სკოლა), თ. ბერძენიშვილს და ა. სიხარულიძეს (51-ე საშუალო სკოლა) აკლიათ მეთოდური დახელოვნება გაკვეთილს ხსნიან მხოლოდ თხრობით და არ მიმართავენ ^{ეფექტულ} საჩინოებას. გეგმა
ზეზულიძე

მე-8 საშუალო სკოლის ქართულ სექტორზე გეოგრაფიის საათები დანაწილებულია სამ არასპეციალისტ მასწავლებელს შორის.

არცერთ სკოლას არა აქვს ცალკე გამოყოფილი გეოგრაფიის კაბინეტი. არც კლას-კაბინეტებია შექმნილი. სკოლები არ არის უზრუნველყოფილი საჭირო რუკებით, ღარიბია აგრეთვე გეოგრაფიული შინაარსის სურათებით, მოდელებით, პრაქტიკული ვარჯიშებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღებით. სკოლაში არსებული რუკები ცუდადაა მოვლილი, ბევრი მათგანი ძალზე დაზიანებულია.

სკოლებში არ არის დანერგული კონტურულ რუკებზე მუშაობა, არ სრულდება ის პრაქტიკული სამუშაოები, რომლებიც ცალკეული კლასისათვის პროგრამითაა გათვალისწინებული, სკოლის ეზოებში არაა მოწყობილი გეოგრაფიის მოედანი და არ სწარმოებს ბუნების მოვლენებზე დაკვირვება.

ზოგიერთ შესწავლილ სკოლაში კლასგარეშე მუშაობა სათანადოდ არ არის გაშლილი, იგი უმეტესად მხოლოდ ექსკურსიებით გამოიხატება. მაგრამ იმ სკოლებსაც კი, რომლებსაც ეს ექსკურსიები ჩაუტარებიათ, მათი ამსახველი მასალები არ მოეპოვებათ. გეოგრაფიის წრეების მუშაობა არსებითად ფორმალურ ხასიათს ატარებს.

უცხო ენები

შემოწმებულ სკოლებში უცხო ენებს ძირითადად ასწავლიან სპეციალური უმაღლესი განათლებისა და საკმაო გამოცდილების მქონე მასწავლებლები. მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი ცხადყოფს, რომ წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა უცხო ენების სწავლება. მასწავლებლები მონდომებით ემზადებიან გაკვეთილებისათვის და ცდილობენ მუშაობა წარმართონ ახალ მოთხოვნათა შესაბამისად. უცხო ენებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იმან, რომ უკანასკნელ ხანს V—VI კლასები, თუ მოსწავლეთა რაოდენობა 25-ზე მეტია, ორ ჯგუფად იყოფა.

ქარგაჲ ასწავლიან ინგლისურ ენას მასწავლებლები: ნ. იაკუბოვა, ი. ვერმა (116-ე საშუალო სკოლა), თ. თოდუროია, ლ. ხომასურიძე ო. დიდმელაშვილი (24-ე საშუალო სკოლა), მ. ზვიადაძე,

მ. მანელოვა (52-ე საშუალო სკოლა), ვ. ზვიადაძე, უ. ხუნდაძე (51-ე საშუალო სკოლა); გერმანული ენის მასწავლებლები: ნ. ბეტრიაშვილი, ნ. ისაკაძე (87-ე საშუალო სკოლა), ვ. კურდუმაძე (87-ე საშუალო სკოლა), თ. წამალაშვილი (მე-3 საშუალო სკოლა), ი. ვაშკილევიჩი (144-ე საშუალო სკოლა), ი. არადაშვილი, ვ. ბობინა (116-ე საშუალო სკოლა), ტ. ადამაშვილი, ე. ფარცხალაძე (მე-100 საშუალო სკოლა), ფრანგული ენის მასწავლებლები: თ. გეგელაშვილი, ნ. მკურნალი (52-ე საშუალო სკოლა). ეს მასწავლებლები მონდომებით ემხადებიან, ფართოდ იყენებენ თვალსაჩინოებას და აქტიურად ატარებენ გაკვეთილებს. ამის შედეგად მათი მოსწავლეების საგრძნობი ნაწილი დაუფლებულია კითხვისა და წერის ჩვევებს, შეუძლია უცხო ენაზე მასწავლებლის საუბრის გაგება, დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა და ტექსტების შინაარსის გადმოცემა, აგრეთვე უცხო ენიდან მშობლიურზე სათანადო სინდელის ტექსტების თარგმნა.

გერმანული ენის მასწავლებელი ნ. პეტრიაშვილი (87-ე საშუალო სკოლა, VII კლასი) კარგად ატარებს გაკვეთილს, მთელ კლასს აბამს მუშაობაში, ოსტატურად ახერხებს საშინაო დავალებების შესრულების შემოწმებას და სხვ ასევე ნაყოფიერ მუშაობას ატარებს მასწავლებელი ი. ვაშკილევიჩი (114-ე საშუალო სკოლა), იგი დიდ ყურადღებას აქცევს გრამატიკული მასალის შეგნებულად სწავლებასა და სალექსიკონო მუშაობას.

დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ინგლისური ენის მასწავლებლები: რ. კაქარავა, ი. ლევიტი, შ. შვარცი (116-ე საშუალო სკოლა), მ. გურიელაშვილი (24-ე საშუალო სკოლა), მ. ხმალაძე (111-ე საშუალო სკოლა), ა. სანიკიძე (51-ე საშუალო სკოლა), ი. გეცუკი (52-ე საშუალო სკოლა). გერმანული ენის მასწავლებლები: რ. გოერცი, ა. რაშიშვილი (მე-3 საშუალო სკოლა), ვ. სტროკოვსკაია (114-ე საშუალო სკოლა), ფრანგული ენის მასწავლებლები: მ. ყანჩელი (52-ე საშუალო სკოლა), რ. ჩხიკვიშვილი (112-ე საშუალო სკოლა).

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისური ენის მასწავლებლები: გ. კვიციანი, მ. კაკიაშვილი (87-ე საშუალო სკოლა), დ. არუთინოვა, ს. სარქისიანი (116-ე საშუალო სკოლა) ენას კარგად ფლობენ, მაგრამ არადამაკმაყოფილებლად არიან დაუფლებულნი საგნის სწავლების მეთოდებს, რის შედეგადაც მოსწავლეთა ცოდნის დონე დაბალია.

ფიზიკური კულტურა

ფიზიკურ კულტურას უნარიანად უძღვებიან მასწავლებლები:

ი. როინიშვილი, გ. ცერცვაძე (მე-100 საშუალო სკოლა), დამაგმა-
ყოფილებლად მიჰყავთ საგანი გ. მდივანს, შ. ესებუას (24-ე საშუ-
ალო სკოლა), ს. გიორგაძეს, ვ. შარუხიას, ვ. ბასილიას (მე-100 საშუ-
ალო სკოლა), ი. ყანჩაველს, ლ. მჭედლიშვილს (116-ე საშუალო
სკოლა).

დასახელებული მასწავლებლები გაკვეთილებს მომზადებულად
ატარებენ, რის შედეგად მოსწავლეთა ფიზიკური მომზადება და
პროგრამით გათვალისწინებული საკითხების ცოდნა დამაკმაყოფი-
ლებელია. აღნიშნულ სკოლებში მშთ და იმშთ ნორმატივების ჩა-
ბარება კარგად მიმდინარეობს.

მე-100 საშუალო სკოლის მოსწავლეები მასობრივად არიან ჩაბ-
მული კლასგარეშე სპორტულ საქმიანობაში; უკანასკნელი ორი წლის
განმავლობაში ამ სკოლაში სასკოლო ფიზკულტურის კოლექტივში
მომზადდა 143 თანრიგოსანი, მათ შორის ტანვარჯიშში 1-ლ თან-
რიგზე—2 მოსწავლე, ცურვაში—1. აქვე აღიზარდა 12 სპორტის
ოსტატი და ოლიმპიური ჩემპიონი რობერტ შავლაყაძე.

ამასთანავე, ფიზიკურ აღზრდას არა დამაკმაყოფილებლად ხელ-
მძღვანელობენ მასწავლებლები მ. ნინოშვილი, ნ. გუბსკაია (114 ე
საშუალო სკოლა), შ. ვარსემაშვილი, ვ. ხომერიკი (112-ე საშუალო
სკოლა). ამ სკოლებში არ არის შექმნილი სპორტული ბაზები და
ყოველივე ამის გამო მეცადინეობა უხარისხოდ ტარდება. არის შემ-
თხვევები, როდესაც ცუდ ამინდში, მოცულობით მცირე დარბაზში,
ერთდროულად უხდება ორ პარალელურ კლასს მეცადინეობა.

114 ე საშუალო სკოლას არა აქვს სპორტული დარბაზი და
მოედანი, აგრეთვე მცირე რაოდენობით აქვთ სპორტული ინვენ-
ტარი, ამის შედეგად გაკვეთილების ხარისხი არა დამაკმაყოფილე-
ბელია და კლასგარეშე ფიზკულტურული მუშაობა თითქმის ჩაშ-
ლილია.

საწარმოო სწავლება

ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო
განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ კანონის
განხორციელების საფუძველზე შესწავლილ სკოლებში მნიშვნელო-
ვანი მუშაობაა ჩატარებული: ყველა საწარმოსწავლებიანი სკოლი-
სათვის შერჩეულია სათანადო საწარმოო ბაზა, სადაც მოწყობილია
თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო საწარმოო საამქ-

როები, მალეები, უბნები, აგრეთვე ცალკე სამუშაო ადგილები მოსწავლეთა ინდივიდუალური მუშაობისათვის.

ქ. თბილისის მე-7 სამკერვალო ფაბრიკაში (დირექტორი გამყრელიძე), სადაც საწარმოო სწავლებას გადიან 112-ე საშუალო სკოლის გოგონები, მოწყობილია სპეციალური სასწავლო საამქრო, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო მოწყობილობით. სასწავლო კაბინეტებში გამოყენილია კარგად გაფორმებული ქსოვილებისა და ძაფების ნიმუშები, ზედატანსაცმლის დამუშავების ცალკეული ოპერაციების მასალები და სხვ. პრაქტიკული საწარმოო სწავლები-სათვის გამოყენებულია 450 კვ. მეტრი ფართობის დარბაზი და მოწყობილია 72 სამუშაო ადგილი მოსწავლეთა ერთდროული მუშაობისათვის. ამავე საამქროში დაყენებულია სტაციონალური საგამომკრელო, ამოსახვევი და სხვა მანქანები, რომლებზეც მოსწავლეები ეწევიან მუშაობას. საამქროში მოწყობილია დღის ელექტროგანათება, კარგად არის დაცული უსაფრთხოების ტექნიკის წესები და სანიტარულ-ჰიგიენური პირობები. მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან დამზარე სათავსოებით, სპეციალური ტანსაცმელებით, ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით და სხვა. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ორგანიზაციაში—ს/ყ 149, სადაც საწარმოო სწავლებას გადიან მე-100 და 116-ე საშუალო სკოლების IX და X კლასების მოსწავლე ვაჟები, რომლებიც ეუფლებიან ზეინკალ-ამწყობის, ზეინკალ-მეიარალისა და ხარატის პროფესიებს. აქ ყოველგვარი პირობებია შექმნილი პირველ ეტაპზე მოსწავლეთა საწარმოო (თეორიული და პრაქტიკული) სწავლებისა და მეორე ეტაპზე მწარმოებლური შრომის შეუფერხებლად ჩატარებისათვის. ასევე კარგადაა მოწყობილი სასწავლო-საწარმოო საამქრო ქ. თბილისის საავიჯო სამრეწველო გაერთიანება—„განთიადში“ (დირექტორი მ. ლასურაშვილი), სადაც საწარმოო სწავლებას გადიან 111-ე საშუალო სკოლის ვაჟები; ქ. თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანაში, სადაც საწარმოო სწავლებას გადიან 114-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ვაჟები. მიმდინარე სასწავლო წელს ცალკე შენობაში მოეწყო სასწავლო საამქრო ზეინკალ-ამწყობისა და ხარატის პროფესიის შესწავლისათვის. აგრეთვე კარგადაა მოწყობილი 52-ე საშუალო სკოლაში სასწავლო კაბინეტები სტენოგრაფ-მემანქანისა და მხაზველ-მადეტალირებლის პროფესიების შესწავლისათვის.

შემოწმებული სკოლების დიდი ნაწილი უზრუნველყოფილია საწარმოო ბაზების მიერ გამოყოფილი სპეციალური განათლების მქონე კადრებით, რომელთა დიდი ნაწილი პასუხისმგებლობით ეკიდება საწარმოო სწავლებისა და მოსწავლეთა მწარმოებლური შრო-

მის სწორად ორგანიზების საქმეს, გულდასმით ემზადება ყოველ-
დღიური მუშაობისათვის, სწავლებაში იყენებს თვალსაჩინოებას
და მალაქ აკადემიურ დონეზე ატარებს გაკვეთილებს. უსუსურობა
ლითად. ქ. თბილისის საავიჯო სამრეწველო გაერთიანებში
დის“ მეფეჯის სპეციალობის თეორიის მასწავლებელმა (ბ. გუშჩი-
ნი) X კლასში მერქნის დამუშავებისათვის გამოყენებული ჩარხების
მომზადების პრინციპის ახსნისას კარგად გამოიყენა თვალსაჩინოება.
ამავე საწარმოზე მიმაგრებულ 111-ე საშუალო სკოლის IX კლასის
პრაქტიკული საწარმოო სწავლების მასწავლებელი (ნ. ბალაშოვი)
კარგად ახდენს საპროგრამო მასალის გავლასთან პროდუქციის
დამზადების შეხამებას. მასწავლებელმა სწავლების პირველ ეტაპზე
მოსწავლეებს სკამისა და ფარდების კარნიზის დამზადებაზე მუშაო-
ბისას შეასწავლა მერქნის დასამუშავებელი ყველა ხელის იარაღი.
ასევე კარგად მუშაობენ გამომცემლობა „კომუნისტის“ სტამბაზე
მიმაგრებული 51-ე საშუალო სკოლის IX კლასის მასწავლებელი
ე. უძულაშვილი, მე-7 სამკერვალო ფაბრიკაში 112-ე საშუალო სკო-
ლის IX კლასის მასწავლებელი თ. ანცერძე, მე-19 ავტოსატრან-
სპორტო კანტორაში 52-ე საშუალო სკოლის X კლასის მასწავლე-
ბელი ე. იანუშევი და სხვ.

საწარმოსწავლებიანი სკოლების IX—XI კლასების მოსწავ-
ლეთა საწარმოო სწავლება პირველ ეტაპზე, და განსაკუთრებით
მეორეზე, დაკავშირებულია საწარმოო პროდუქციის შექმნასთან.
თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანაში 114-ე საშუალო სკოლის
XI კლასის 12 მოსწავლე გოგონამ, რომლებიც მგრავნავ გამამხო-
ლობლის პროფესიას ეუფლებიან, ერთ ცვლაში 305 ცალი ელმავ-
ლის ელექტრული ძრავების გამთანარებელი დაამზადეს და სხვა.

მიუხედავად ამ მიღწევებისა ქ. თბილისის საწარმოსწავლე-
ბიან რიგ სკოლებში აღვილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანე-
ბებს.

ზოგიერთი სკოლისა და წარმოება-დაწესებულების ხელმძღვა-
ნელები ნაკლებად ზრუნავენ სკოლებისათვის საჭირო საწარმოო
ბაზების მოსაწყობად, რის შედეგად დაბალ დონეზე ტარდება რო-
გორც თეორიული მეცადინეობა, ისე პრაქტიკული საწარმოო სწავ-
ლება. ქ. თბილისის ელექტრომექანიკურმა ქარხანამ (დირექტორი
ბ. დუნდუა), სადაც მე 100 სკოლის X და XI კლასების მოსწავლე
ვაჟები გადიან საწარმოო სწავლებას, დღემდე ვერ შესწავლა ცალკე
სასწავლო საამქროს შექმნა და თეორიული სწავლებისათვის საჭი-
რო სათავსოების გამოყოფა. აქ მოსწავლეები ინდივიდუალური
წესით გადიან საწარმოო სწავლებას და განაწილებულნი არიან

მთელი ქარხნის ტერიტორიაზე; ყოველივე ამის შედეგად ძნელდება მოსწავლეებზე ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაწევა და მათ მიერ ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი 26 კომისიის სახელობის მანქანათმშენებელთა ქარხანაში (დირექტორი დ. ყორგოლიანი), სადაც საწარმოო სწავლებლებს გადიან მე-3 საშუალო სკოლის ვაგები, აბრეშუმის ეპარტულ საქსოვ ფაბრიკაში (დირექტორი ნ. ნუცუბიძე), სადაც მიმდგრებული არიან 114-ე საშუალო სკოლის გოგონები მარმელადის ქარხანაში (დირექტორი ლ. მახარაშვილი), სადაც საწარმოო სწავლებას გადიან 111-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეები. მე-19 სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტონაში (დირექტორი ო. გუგუშვილი), სადაც საწარმოო სწავლებას გადიან 52-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ვაგები, მოუწყობელია სასწავლო საამქრო და თეორიული სწავლებისათვის კაბინეტი, მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არ არიან სპექტანსაცმლით.

ზოგიერთი საწარმოს მიერ თეორიული და პრაქტიკული საწარმოო სწავლებისათვის გამოყოფილი ოსტატები სათანადოდ არ ემზადებიან ყოველდღიური მუშაობისათვის, ვერ ფლობენ გაკვეთილის ჩატარების ორგანიზაციას, სწავლებაში არ იყენებენ თვალსაჩინოებას, ვერ ახორციელებენ კავშირს სპეციალური მომზადების, ზოგადტექნიკურსა და ზოგადსაგანმანათლებლო საგნებს შორის, რის შედეგადაც ამ სკოლებში დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე.

114-ე საშუალო სკოლის XI კლასის (მასწავლებელი ტ. ჯაბაური) მოსწავლეებმა ვერ განმარტეს დენი, ძაბვა, სიმძლავრე, მათი ერთეულები, ნათელი წარმოდგენა არა აქვთ ელექტრომზომი ხელსაწყოებისა და ელექტროძრავების მოქმედების პრინციპზე. ასევე დაბალი მომზადება გამოამკლავნეს მე-100 საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა ზეინკალ-ელექტროამწყობის სპეციალობის თეორიაში.

რიგ საწარმოებში ადგილი აქვს IX—XI კლასების მოსწავლეთა სამუშაოზე გამოუცხადებლობის, დავგიანებისა და გაპარვის შემთხვევებს. მაგალითად, 87-ე საშუალო სკოლის X კლასის 19 მოსწავლეს, რომლებიც საწარმოო სწავლებას მე-3 მექანიკურ ქარხანაში გადიან, გაცდენილი აქვს 350 საათი და აღრიცხულია დაგვიანებისა და გაპარვის 50 შემთხვევა. ასევე დიდი გაცდენები აქვთ IX¹ კლასის მოსწავლეებს. მე-3 საშუალო სკოლის X¹ კლასის 11 მოსწავლეს, რომლებიც საწარმოო სწავლებას გადიან 26 კომისიის

სახ მანქანათმშენებელ ქარხანაში გაცდენილი აქვს 110 საათი და აღრიცხულია დაგვიანებისა და გაპარვის 20 შემთხვევა.

დასახელებული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელი ვერ ახორციელებს კმედით დახმარებას და კონტროლს მასწავლებლების მუშაობაზე, არ ღებულობს დროულად ზომებს ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, საფუძვლიანად არ ეცნობა იმ სასწავლო-საწარმოო ბაზებს, სადაც მისი სკოლის მოსწავლეები საწარმოო სწავლებას გადიან.

საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობა

შესწავლილი სკოლებიდან საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების დარგში დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა 24-ე, 87-ე, 51-ე, მე-100, 111-ე, 112-ე, 114-ე, 116-ე, საშუალო სკოლებში. აღნიშნულ სკოლებს შესრულებული აქვთ მოსწავლეთა კონტინენტის გეგმა და არ ჰყავთ განთესილი მოსწავლეები.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ მე-3 და 52-ე საშუალო სკოლებში ადგილი აქვს მოსწავლეთა სკოლიდან განთესვის შემთხვევებს. მაგალითად, 52-ე საშუალო სკოლიდან გასულია 6 მოსწავლე, აქედან I—VIII კლასებიდან 3, ხოლო მე-3 საშუალო სკოლიდან განთესილია 3 მოსწავლე.

1962/1963 სასწავლო წელს ლენინის სახელობის რაიონის სკოლებს ჩამოსცილდა 22 მოსწავლე, აქედან სწავლას დაუბრუნდა 13; 26 კომისრის სახ. რაიონის სკოლებს ჩამოშორდა 18 მოსწავლე, სწავლას დაუბრუნდა—13. მიღებულია ზომები სკოლას ჩამოშორებული ყველა მოსწავლის სწავლებაში ჩასაბმელად. მოსწავლეთა კონტინენტის გეგმა ყველა შესწავლილ რაიონს გადაჭარბებით აქვს შესრულებული.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების ფონდს შესწავლილი ყველა სკოლა მიზნობრივად იყენებს.

მეთოდური მუშაობა

შესწავლილ სკოლებში საგნობრივი მეთოდური გაერთიანებები შექმნილი არაა და, როგორც წესი, ცალკე დისციპლინების მიხედვით მასწავლებლები გაერთიანებულნი არიან რაიონის მასშტაბით, ზოგიერთ მეთოდურ გაერთიანებათა გამოკლებით. ასეთებია, მაგალითად, კლასის ხელმძღვანელებისა და პოლიტექნიკური და საწარ-

მოო სწავლების საგნების მასწავლებელთა მეთოდური გაერთიანებები, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკოლებთან და მუშაობენ სკოლის დირექციის უშუალო ხელმძღვანელობით. საწარმოო სწავლების საგნების მასწავლებლებთან ერთად გაერთიანებულნი არიან სწავლებლებიც, რომლებიც პარალელურად ჩაბმულნი არიან შესაბამისი საგნების რაიონულ მეთოდურ გაერთიანებებშიც. რაიონულ მეთოდურ გაერთიანებას სათავეში უდგას განათლების განყოფილების მიერ შერჩეული გამოცდილი და უნარიანი მასწავლებელი. რაიონული მეთოდური გაერთიანებები მუშაობენ განათლების განყოფილების მიერ დამტკიცებული გეგმით, რომლის მიხედვით მასწავლებელთა შეკრება სწარმოებს ყოველ თვეში ერთხელ, დაწესებულ დღეს.

შემოწმებით დადასტურდა, რომ მეთოდური მუშაობის ორგანიზაციის ამ ფორმას რიგი უარყოფითი მხარეები აქვს. უპირველეს ყოვლისა ძნელდება მუშაობაში ყველა მასწავლებლის ჩაბმა, არადამაკმაყოფილებელია მასწავლებელთა დასწრება, რაც უმეტეს შემთხვევაში 40—50% შეადგენს; ცალკეული საგნების მეთოდურ გაერთიანებაში გეგმით გათვალისწინებული საკითხები მეტწილად ზოგადი ხასიათისაა და ამ საკითხების დამუშავებისას მასწავლებელთა უმრავლესობის მუშაობაში მონაწილეობა მხოლოდ მოხსენებების მოსმენით ამოიწურება; იმის გამო, რომ რაიონული მეთოდური გაერთიანების სამუშაო გეგმების შედგენისას გათვალისწინებული არაა ცალკეული სკოლის მასწავლებლის საჭიროება, მასწავლებლისათვის ქმედითი მეთოდური დახმარების გაწევა ვერ ხერხდება. რაიონის მასშტაბით მეთოდური გაერთიანებების ჩამოყალიბებამ დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები ჩამოაცილა მეთოდურ მუშაობას სკოლაში. არც ერთი სკოლის ხელმძღვანელმა არ იცის, თუ რა მუშაობას ეწევა მისი სკოლის მასწავლებელი, როგორ იმალდებს ის მეთოდურ კვალიფიკაციას და იყენებს მას თავის ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში. სკოლის ხელმძღვანელი მუშაკების (დირექტორები, სასწავლო ნაწილის გამგეები) მასწავლებელთა მუშაობაზე გაწეული კონტროლი და ხელმძღვანელობა განისაზღვრება მხოლოდ იმით, რომ მასწავლებლები სისტემატურად, უკლებლად ესწრებოდნენ მეთოდგაერთიანებათა სხდომებს, თუმცა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მათ მიერ ეს საქმეც დაძლეული არაა.

არასწორად აქვთ სკოლებს გაგებული სკოლებში ღია გაკვეთილების ჩატარების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სა-

მინისტროს 1961 წლის 30 ივნისის № 429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციულ-მეთოდურ წერილში აღნიშნული მიზნების მიხედვით. იმის ნაცვლად, რომ ამ დარგში სკოლებს მუშაობა გაგრძელდება ნათ იმ მიმართულებით, რათა სკოლებში ჩატარებული ინფორმაციის თილები გამხდარიყო მოწინავე გამოცდილების ამსახველი და მას არ ჰქონოდა, ადრე წესად ქცეული, პარადული ხასიათი, — ამ ღონისძიების ჩატარებაზე სკოლებმა თითქმის სრულიად აიღეს ხელი. შემოწმებული სკოლების უმეტეს ნაწილში ღია გაკვეთილები ან სრულებით არ ტარდება ან კიდევ ისინი ეწყობა ძალზე იშვიათად, ყოველგვარი მიზანდასახულობისა და მომზადების გარეშე, ისე რომ მოსმენილი გაკვეთილის გარჩევის ფიქსირებაც კი არ ხდება.

სრულიად უგულვებელყოფილია სკოლებში მასწავლებლის მიერ დამოუკიდებელი მუშაობა, მაშინ როდესაც ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასწავლებელთა მუშაობაში არსებული ინდივიდუალური ნაკლოვანებების დაძლევისათვის.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ადგილებზე ჩამოყალიბებული საწარმოო სწავლების კლასების მასწავლებელთა სასკოლო პოლიტექნიკური მეთოდური გაერთიანებების მუშაობა. ამ მეთოდური გაერთიანებებისათვის, სრულიად უმართებულოდ, ნაცვლად პოლიტექნიკური მეთოდური გაერთიანებისა, სკოლებში დაურქმევიათ „ციკლობრივი პოლიტექნიკური მეთოდკომისიები“. ამ მეთოდური გაერთიანების მუშაობაზე ხელმძღვანელობა, მეტწილად, დავალებული აქვთ სასწავლო ნაწილის გამგეებს საწარმოო სწავლების დარგში, ზოგ შემთხვევაში კი საბუნებისმეტყველო-მათემატიკური ციკლის მასწავლებლებს, რომლებსაც მათზე დაკისრებული მოვალეობის დაძლევა უჭირთ, ერთის მხრივ იმის გამო, რომ არ აქვთ პედაგოგიურ-მეთოდური მომზადება და გამოცდილება (ინჟინრებს) ან არ გააჩნიათ საწარმოო-ტექნიკური ცოდნა (მასწავლებლებს).

როგორც წესი, სკოლებში ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებით არ ეკიდებიან მეთოდური მუშაობის დარგში საქმის იმ მხარეს, რომელიც მოითხოვს ზოგადსაგანმანათლებლო ციკლის საგნების მასწავლებლებისაგან წარმოების საფუძვლების ცოდნის შეძენას, ხოლო ზოგადტექნიკური, სპეციალური და პროფესიული მომზადების საგნების მასწავლებლების პედაგოგიურ და მეთოდურ შეიარაღებას. ამ მხრივ გარკვევით იგრძნობა სკოლის დირექტორების და სასწავლო ნაწილის გამგეების არადამაკმაყოფილებელი კონტროლი და ხელმძღვანელობა.

შესწავლილი საშუალო სკოლების უმრავლესობაში სუსტადაა

დაყენებული შიგასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა სასწავლო მეთოდურ მუშაობაზე. სკოლის დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები ძალზე მცირე დროს უთმობენ მუშაობას სასწავლო მუშაობის ყოველმხრივი შესწავლა, მოწინავე გამოცდილების გამოვლენა-განზოგადება, არსებულ ნაკლოვანებათა გულდასმით შესწავლა და მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო ქმედითი ღონისძიებების გატარება, ყველა შემოწმებულ სკოლაში სასწავლებლის მუშაობის შესწავლა და მისთვის დახმარების გაწევა განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგეების მიერ დროგამოშვებით გაკვეთილებზე დასწრებით, რაც არც ერთ შემთხვევაში არ ითვალისწინებს სასწავლებლის მუშაობის სისტემის შესწავლას, სასწავლო პროცესის ყოველმხრივ გარჩევა-განალიზებას, ცალკეულ სასწავლო დისციპლინების სწავლებაში მიღწევებისა და ნაკლოვანი მხარეების გამოვლინებას და ამ უკანასკნელთა გამოსწორებისათვის საჭირო და გადაუდებელი ღონისძიებების გატარებას, ხშირ შემთხვევაში სკოლის ხელმძღვანელები იფარგლებიან ცალკეულ გაკვეთილებზე შემჩნეული არაარსებითი ხასიათის ნაკლოვანებების ფიქსირებით, ღრმად არ სწავლობენ მიმდინარე სასწავლო პროცესებს, ვერ ამჩნევენ არსებით ნაკლოვანებათა გამომწვევ მიზეზებს, რომელთა აღმოსაფხვრელად მათი უშუალო ჩარევა საჭირო, და კმაყოფილდებიან მხოლოდ სასწავლებლისათვის ზერელე მითითებების მიცემით.

სკოლის ხელმძღვანელთა მიერ მოსმენილი გაკვეთილების ჩანაწერები ზოგჯერ იმდენად ნაჩქარევად, ზერელედ არის შედგენილი, რომ აშკარად იგრძნობა დამსწრის ზოუმზადებლად შესვლა გაკვეთილზე, რაც, სამწუხაროდ, შემთხვევითი მოვლენა როდია.

საქმის ამ უზნისადმი უყურადღებობა იმითაც უნდა აიხსნას, რომ სკოლების საინსპექტორო შემოწმებისას განათლების ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლები ამ საქმეს ფორმალურად ეკიდებიან, კმაყოფილდებიან მხოლოდ მოსმენილი გაკვეთილების რაოდენობის დადგენით და გულდასმით არ სწავლობენ სასწავლებლის მუშაობაზე გაწეული კონტროლისა და დახმარების არსებით მხარეს, მეორეს მხრივ, თვითონ სკოლის ხელმძღვანელები არ ცდილობენ გაეცნონ სათანადო პედაგოგიურ-მეთოდურ ლიტერატურას სკოლაში სასწავლო მუშაობის ხელმძღვანელობის საკითხებზე.

სკოლის ხელმძღვანელთა მუშაობაში შეინიშნება აგრეთვე კიდევ ერთი ფრიად არსებითი ხასიათის ნაკლოვანება, რომელიც მუშაობაში სახელმძღვანელო-სადირექტივო დოკუმენტების მოთხოვნ

ნათა გათვალისწინებით არის გამოწვეული. არის შემთხვევები, როცა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ სახელმძღვანელო დოკუმენტს სკოლის ხელმძღვანელობა ან სრულმასშტაბი იცნობს ან მასზე ფორმალურ რეაგირებას ახდენს და კმაყოფილდება მხოლოდ მისი შინაარსის გაცნობით. მაგალითად, შესწავლილი სკოლების წლიურ სამუშაო გეგმებში, და რაც მთავარია მათ საქმიანობაში, არ არის პრაქტიკული ნაბიჯები გადადგმული ცალკეული საგნების სწავლების გაუმჯობესების იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც განათლების სამინისტრომ ამ საკითხების სპეციალური განხილვის შედეგად მიიღო და სხვადასხვა დროს გამოაქვეყნა ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

ასეთებია, მაგალითად, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1961 წლის № 488 ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ღონისძიებათა შესახებ, № 460 ბრძანება V—X კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, № 324 ბრძანება მათემატიკური დისციპლინების სწავლების გაუმჯობესების შესახებ, № 630 ბრძანება ფიზიკის სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ და სხვა.

ასევე ნაკლებად ეცნობიან და იყენებენ სკოლები იმავე კრებულებში რესპუბლიკის ამა თუ იმ რაიონის ან ქალაქის სკოლების მუშაობის შესწავლის შედეგად მიცემულ მითითებებს, მათ მუშაობაში არსებული ანალოგიური ხასიათის ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

სკოლის შინასასკოლო კონტროლისა და ხელმძღვანელობის მოწესრიგების საქმეში გადამწყვეტი როლი ეკუთვნის ხელმძღვანელი კადრების შერჩევასა და განაწილებას. ცოტა არაა ისეთი შემთხვევა, როცა სკოლას სათავეში უდგას ერთი და იგივე სპეციალობის მქონე დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე ან სასწავლო ნაწილის გამგეები.

მაგალითად, 114-ე საშუალო სკოლის დირექტორი და ერთი სასწავლო ნაწილის გამგე ფილოლოგებია, მეორე სასწავლო ნაწილის გამგე კი ისტორიკოსი, 111-ე საშუალო სკოლის დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე ორივე ისტორიკოსია; ასევე 52-ე სკოლის დირექტორი და ერთი სასწავლო ნაწილის გამგე სპეციალობით ფილოლოგებია.

არანაკლებ უარყოფით გავლენას ახდენს სწავლების ხარისხზე, როცა სკოლაში ერთი და იგივე სასწავლო საგანი რამდენიმე მას-

წავლებლის ხელშია და ამასთან ნორმალური დატვირთვა ერთ მათგანს არ აქვს.

თითქმის ყველა სკოლაში გაკვეთილების ცხრილი შედგენილი პედაგოგიურ მოთხოვნათა შესაბამისად, ადგილი აქვს საგნების, ანდა ზოგჯერ ერთი და იგივე საგნის ზედღირად, შუალედების გარეშე შეტანის შემთხვევებს.

სკოლების მუშაობაში არსებული ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები ნაწილობრივ იმითაც უნდა აიხსნას, რომ განათლების ადგილობრივი ორგანოები ხუსტად ხელმძღვანელობენ სკოლებში სასწავლო-მეთოდურ მუშაობას და თავიანთ საქმიანობაში უფრო მეტ დროს ანდომებენ სამეურნეო და სხვა არასასწავლო ხასიათის საკითხების მოგვარებას.

სკოლების მატერიალური ბაზა

შესწავლილი ყველა სკოლა, სასკოლო ოთახების არასაკმარის რაოდენობის გამო, ორ ცვლაზე მუშაობს. შეუფერებელ სასკოლო შენობებში უხდებათ მუშაობა მე-100, 111-ე, 112-ე საშუალო სკოლებს. სასკოლო შენობის მხრივ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობა აქვს 112-ე და 111-ე საშუალო სკოლებს. მე-100, 111-ე, 112-ე, 114-ე, 116-ე საშუალო სკოლებში სასწავლო კაბინეტები, პიონერთა ოთახები და ბიბლიოთეკები შეუფერებელ ოთახებშია მოთავსებული.

სკოლები სასწავლო ნივთებით, სახელმძღვანელოებით, სასწავლო ინვენტარით უზრუნველყოფილია.

სკოლების სამმართველოს უფროსი დ. ჯავახია

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წ.
29 აპრილის

ბრძანება № 333

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სკოლების
სასწავლო კინოთი მომსახურების საქმის გაუმჯობესების
ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის სასწავლო კინოს მეთოდკაბინეტის შემოწმებით გამოირკვა, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალი სკოლების მიერ დიდი მუშაობაა ჩატარებული სწავლების პროცესში სასწავლო კინოს დანერგვის საქმეში.

რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში სასკოლო კინოქსელი ყოველწლიურად იზრდება. საშუალო სკოლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში ამჟამად 3000-ზე მეტი კინოსაპროექციო აპარატია.

რესპუბლიკის სკოლებს ემსახურება 22 სარაიონთაშორისო სასწავლო კინო-ბაზა (24 საშტატო ერთეულით); მათ განკარგულებაშია 29000-ზე მეტი ფილმის ასლი. კინოფილმების გამოყენება სასწავლო აღმზრდელობით პროცესში განსაკუთრებით გაფართოვდა უკანასკნელ ხანებში. 1955—56 სასწავლო წლიდან დღემდე რესპუბლიკის სკოლებში გაკვეთილზე და კლასგარეშე მუშაობაში თვალსაჩინოების სახით ჩატარდა 295472 კინო გაკვეთილი.

მოსწავლეთა დასახმარებლად 1959 წლიდან 1962 წლამდე ტელესტუდიასთან ერთად მოეწყო 140 ტელეგადაცემა სკოლის საპროგრამო მასალასთან დაკავშირებული სასწავლო ფილმებისა.

ამავე პერიოდში მასწავლებელთა დახელოვნების ერთფიანი კურსებზე მომზადდა 400 მასწავლებელი და ლაბორანტი, რომელთაც კულტურის სამინისტროს კვალიფიკაციის სახელმწიფო კომისიამ მიანიჭა კინოდემონსტრატორის კვალიფიკაცია, ხოლო სკო-

ლებმა და კინობაზებმა გამოუშვეს 6004 „ნორჩი კინომექანიკოსი“
უფროსი ასაკის ბავშვთა რიცხვიდან.

მაგრამ, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სასწავლო კინოფილმების
წერგვის საქმეში რესპუბლიკის სკოლებში ადგილი აქვს მთელ
ნაკლოვანებებს.

მთელ რიგ სკოლებში სულ არ იყენებენ კინოფილმებს, ან კი-
დეგ იყენებენ არადაინიშნულებისამებრ. სახალხო განათლების ადგი-
ლობრივი ორგანოები არ აძლევენ ადგილებზე სათანადო მეთოდურ
მითითებებს სკოლებს, არ ახორციელებენ სკოლებსა და კინობაზე-
ბზე კონტროლს.

სკოლებში ნაკლებად იყენებენ აგრეთვე სამეცნიერო-პოპულა-
რულ და ქრონიკალურ-დოკუმენტურ ფილმებს, რაც გამოწვეულია
იმით, რომ სკოლების უმრავლესობას არ ჰყავს კვალიფიცირებული
დემონსტრატორები; უმრავლეს შემთხვევაში მასწავლებლები არ
იცნობენ კინოსაპროექციო აპარატურას, არ არიან დაუფლებული
სასწავლო კინოს გამოყენების მეთოდიკას.

ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, გაზეთი „სახალხო განათ-
ლება“ თავიანთ ფურცლებზე არ აშუქებენ საკითხს რესპუბლიკაში
სკოლების კინოფიკაციის მდგომარეობის შესახებ, არ ათავსებენ
სტატიებს კინოს გამოყენებით ჩატარებული გაკვეთილის მეთოდი-
კის საკითხებზე, არ ათავსებენ ინფორმაციებს ახლად გამოსულ
სასკოლო ფილმებზე და არ უკეთებენ მათ რეცენზიებს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა
და დამხმარე საწარმოთა სამმართველო ნაკლებ ყურადღებას აქ-
ცევს სკოლების კინოფიკაციის საქმეს, აქამდე არ არის მომარაგე-
ბული ქალაქის და რაიონის კინობაზები ფილმების სამონტაჟო მა-
გიდებით, ფილმოსტატებით, კინოაპარატურის სათანადო ნაწი-
ლებით, ბლანკებით (აბონემენტები, პირადი ბარათები, შემოწმების
აქტები და სხვ.), არ იზრდება ფილმების ასლების რიცხვი.

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის სასწავლო კი-
ნოს მეთოდკაბინეტი ნაკლებ ყურადღებას უთმობს სასწავლო კი-
ნოს გამოყენების მეთოდიკის საკითხებს და მასწავლებელთა მოწი-
ნავე გამოცდილების შესწავლა-განზოგადებას, რაც იმითაც არის
გამოწვეული, რომ სასწავლო კინოს მეთოდკაბინეტის გამგეს მე-
თოდისტის შტატის უყოლობის გამო არ შეუძლია შეასრულოს
როგორც მეთოდური, ისე ორგანიზაციულ-ტექნიკური ხელმძღვანე-
ლობა მთელი რესპუბლიკის სკოლებსა და კინობაზებზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლე-

ბელთა დახელოვნების ინსტიტუტის სასწავლო კინოს მეთოდკაბინეტს ამიერიდან ეწოდოს სასწავლო კინოს და ტელეხედვის მეთოდკაბინეტი.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრის სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონების და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა გაატარონ ყველა ღონისძიება სკოლებსა და სხვა საბავშვო დაწესებულებებში სასწავლო კინოს დარგში მუშაობის გასაუმჯობესებლად, ყოველნაირად შეუწყონ ხელი არსებული კინოფილმების გაკვეთილებზე და სხვა სახის მეცადინეობებზე გამოყენების საქმეს.

3. კინოფიცირებული სკოლების დირექტორებმა:

ა) მოახდინონ კინოაპარატების რეგისტრაცია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოფიცირების და გაქირავების სამმართველოში;

ბ) მოაწყონ კინოკაბინეტები (თუ ამის საშუალება არის), სადაც ჩატარდება გაკვეთილები და კლასგარეშე მეცადინეობანი კინოს გამოყენებით;

გ) გამოაკრან სამასწავლებლო ოთახში სასწავლო ფილმების სია;

დ) განიხილონ პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე სასწავლო კინოს გამოყენების საკითხი;

ე) გამოაყენონ პასუხისმგებელი პირი სკოლაში კინოს დანერგვისათვის;

ვ) სკოლაში უფროსი კლასების მოსწავლეთაგან ჩამოაყალიბონ „ნორჩ კინომექანიკოსთა“ წრე;

ზ) განათლების განყოფილებათა საშუალებით მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთან არსებულ სპეციალურ ერთევიან კურსებზე გაუზავნონ ის პედაგოგები, რომელთაც არა აქვთ კინოდემონსტრატორის სათანადო კვალიფიკაცია;

თ) აწარმოონ გაკვეთილებზე და კლასგარეშე მეცადინეობებზე კინოს გამოყენების აღრიცხვა (თანდართული ფორმის მიხედვით (დანართი № 1, № 2) და აღრიცხვის შედეგები სასწავლო წლის დამთავრებისთანავე გაუგზავნონ ფილმოტეკას.

4. პედაგოგიური კაბინეტების გამგეებმა:

ა) გაუწიონ ხელმძღვანელობა ფილმოტეკების მუშაობას;

ბ) განახორციელონ ხელმძღვანელობა სასწავლო კინოს გამოყენების მეთოდის დარგში, მოაწყონ ფილმების გასინჯვა განხილვები, აგრეთვე კონსულტაციები, სემინარები ფილმების გამოყენების მეთოდის საკითხებზე;

გ) კაბინეტში ჩამოაყალიბონ კუთხე: „სასწავლო კინო სკოლაში“;

დ) შეაჯამონ საუკეთესო პედაგოგთა გამოცდილება სასწავლო კინოს გამოყენების საქმეში და დანერგონ იგი მასწავლებელთა შრომის პრაქტიკაში.

5. სკოლების სამმართველომ (ამხ. დ. ჯავახია):

ა) 1963 წ. III კვარტალში ჩაატაროს რამდენიმე რაიონის სკოლების შემოწმება კინოფიკაციის ხაზით; შემოწმების შედეგები მოახსენოს კოლეგიას 1963 წლის 15 ოქტომბრამდე;

ბ) 1963 წლის ბოლომდე მოამზადოს კოლეგიაზე განსახილველად სწავლების პროცესის ეკრანიზაციის პერსპექტიული გეგმა და წინადადებები ფილმების შექმნის შესახებ.

6. საგემო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე):

გაითვალისწინოს 1963 წ. გეგმებსა და ბიუჯეტში ფილმოტეკების გახსნა ახალციხის, გეგეჭკორის, დუშეთის, ყვარლის, მიაკოვსკის, მესტიის, ქიათურის, სიღნაღის, თეთრიწყაროს, წყალტუბოს, ლენინგორის (სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქი) რაიონებში და ქ. ქ. ფოთსა და რუსთავში.

7. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. თ. ეგაძე) წარმოადგინოს 1963 წ. 5 მაისისათვის პროექტი ქ. თბილისში 5 რაიონული კინობაზის ბაზაზე ერთი საქალაქო ფილმოტეკის შექმნის შესახებ.

8. სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ტ. ტყემალაძე):

ა) 1963 წ. ბოლომდე მოამზადოს უამოსაცემად ქართულ ენაზე სასწავლო ფილმების ანოტირებული კატალოგი-ცნობარი და სამონტაჟო ფურცლები;

ბ) გაითვალისწინოს 1964 წ. საგამომცემლო გეგმაში სახელმძღვანელო კრებულის „კინო სკოლაში“ გამოცემა.

9. განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამზარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე):

ა) მიიღოს სათანადო ზომები სასწავლო ფილმების ასლების ფონდის შემდგომი გაზრდისათვის;

ბ) დააწესოს მკაცრი კონტროლი თვალსაჩინო ხელსაწყოთა მაღაზიაში კინოაპარატების გაყიდვაზე, რათა მათი გაცემა არ ხდებოდეს არააბირდაპირი დანიშნულებით;

გ) სასწრაფო ზომები გაატაროს ყველა ფილმოტეკის, აგრეთვე საბავშვო დაწესებულების ფილმოსაკონტროლო მაგიდებით და ფილმოსტატებით აღჭურვისათვის.

10. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ბახაშვილი):

ა) დააკისროს სასწავლო კინოსა და ტელეხედვის კაბინეტს (ამხ. კ. კეკელიძე) მთელი ორგანიზაციულ-ტექნიკური მუშაობის ხელმძღვანელობა სკოლების და საბავშვო დაწესებულებების კინოფიციერების საქმეზე;

ბ) უზრუნველყოს სასწავლო კინოსა და ტელეხედვის კაბინეტის ერთობლივი მუშაობა ინსტიტუტის სხვა კაბინეტებთან სასწავლო კინოს მეთოდის დარგში.

11. დაუმტკიცდეს დამატებით აფხაზეთის ასს რესპუბლიკურ ფილმოტეკას მონტაჟის ერთი საშტატო ერთეული.

12. დაუმტკიცდეს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის სასწავლო კინოსა და ტელეხედვის მეთოდურ კაბინეტს მეთოდის ერთი საშტატო ერთეული.

13. გაზეთ „სახალხო განათლებისა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა სისტემატურად მოათავსონ მასალები გაკვეთილებზე და კლასგარეშე მეცადინეობებზე კინოს გამოყენების შესახებ, ინფორმაციები ახალ ფილმებზე და რეცენზიები მასზე.

14. საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილემ ამხ. უშ. ობოლაძემ განახორციელოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

დანართი № 1

პირადი ბარათი № _____

სკოლა _____

რაიონი _____

196—6—სასწავლო წელი

| მეოთხედი | გამოყენებული ფილმების რაოდენობა | ჩატარებული გაკვეთილების რაოდენობა | კლასტარშეღონისძიება | სულ სასწავლო კონუს გამოყენებით ჩატარებული მუშაობა | შ ე ნ ი შ ე ნ ა |
|----------|---------------------------------|-----------------------------------|---------------------|---|-----------------|
| I | | | | | |
| II | | | | | |
| III | | | | | |
| IV | | | | | |
| სულ | | | | | |

ცნობები სასწავლო ფილმების გამოყენების შესახებ
196—6—სასწავლო წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

| საგნის დასახელება | გამოყენებული კ/ფილმების რაოდენობა | | | | | კვილების გამოყენებით ჩატარებული გაკვეთის რაოდენობა | | | | |
|----------------------|--------------------------------------|----|-----|----|-------|---|----|-----|----|-------|
| | I | II | III | IV | ს უ ლ | I | II | III | IV | ს უ ლ |
| ქართული ლიტერატურა | | | | | | | | | | |
| რუსული ლიტერატურა | | | | | | | | | | |
| უცხო ენები | | | | | | | | | | |
| ისტორია | | | | | | | | | | |
| გეოგრაფია | | | | | | | | | | |
| ფიზიკა | | | | | | | | | | |
| მათემატიკა | | | | | | | | | | |
| ქიმია | | | | | | | | | | |
| ბოტანიკა | | | | | | | | | | |
| ზოოლოგია | | | | | | | | | | |
| ანატომია-ფიზიოლოგია | | | | | | | | | | |
| დაჯინიზმის საფუძვე | | | | | | | | | | |
| დაწვებითი სკოლა | | | | | | | | | | |
| მანქანათმშენობა | | | | | | | | | | |
| ელექტრომექანიკა | | | | | | | | | | |
| შრომითი სწავლება | | | | | | | | | | |
| სწარმოო სწავლება | | | | | | | | | | |
| მეოჯახობა | | | | | | | | | | |
| ფიზიომზადება | | | | | | | | | | |
| კლასგარეშე ღონისძ. | | | | | | | | | | |
| სულ | | | | | | | | | | |

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს
1963 წლის 16 მარტის

ბრძანება № 221

ქვემო ალვანის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებლის
მ. მურთაზაშვილის არაპედაგოგიური მოქმედების შესახებ

გავეცანი რა სოფ. ქვემო ალვანში მცხოვრებ მელიტონ ნიკოლოზის ძე ბექურიძის განცხადების ადგილზე შემოწმების მასალებს, ვთელი დადასტურებულად, რომ მასწავლებელმა მ. მურთაზაშვილმა გაკვეთილზე ფიზიკური სასჯელი გამოიყენა განმცხადებლის შვილის, V კლასის მოსწავლის ვ. ბექურიძის მიმართ; ასევე მოიქცა იგი სხვა გაკვეთილზე მოსწავლე უთურგაიძის მიმართაც.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მიღებული იქნეს ცნობად, რომ ქვემო ალვანის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებელი მ. მურთაზაშვილი ჩადენილი მოქმედებისათვის მოხსნილია თანამდებობიდან და გადაცემულია პასუხისგებაში, ხოლო სკოლის დირექტორი ამხ. გ. ქოთილაძე, რომელმაც დროზე ვერ მოახდინა რეაგირება მასწავლებელ მ. მურთაზაშვილის მოქმედებაზე და არ მიიღო საჭირო ზომები მსგავსი საქციელის აღსაკვეთად, ჩამოყენებულია სასწავლო წინააღმდეგობის გამგედ.

2. იმასთან დაკავშირებით, რომ განათლების სამინისტროში შემოსული ცნობებით, უკანასკნელ ხანებში ზოგიერთი სკოლის ცალკეული მასწავლებელი იყენებს საბჭოთა სკოლისათვის ყოველად შეუწყნარებელ ფიზიკური დასჯის ზომებს, კატეგორიულ წინადადებას ვაძლევე განათლების განყოფილებათა გამგეებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ მახინჯი პრაქტიკის აღკვეთას და დამნაშავეთა წინააღმდეგ მიიღონ მკაცრი ზომები.

3. ეს ბრძანება განხილული იქნეს რესპუბლიკის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

გ ა მ ტ კ ი ც ე ბ
ს ქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი
15 მარტი 1963 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო მოსათამაშოთა მუზეუმისა

1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო სათამაშოთა მუზეუმი წარმოადგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-საკვლევო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებას.

2. მუზეუმის ამოცანას შეადგენს ხალხური, კუსტარული, საქარხნო საბავშვო სათამაშოთა ნიმუშებისა და ახალი მოდელების ანალიზი და შეფასება და იდეოლოგიურად, პედაგოგიურად და ესთეტიკურად გამართული სათამაშოების გაცნობა ფართო საზოგადოებრიობისათვის.

3. დასახული ამოცანის განხორციელების მიზნით მუზეუმი თავისი პროფილის შესაბამისად:

ა) აგროვებს საქართველოს სსრ, მოკავშირე რესპუბლიკებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში ფართოდ გავრცელებულ ხალხურ, კუსტარული საწარმოო სათამაშოების ნიმუშებს და ახალ მოდელებს, ახდენს მათ ანალიზსა და შედეგებს აცნობს სათანადო სააღმზრდელო დაწესებულებების მუშაკებს.

ბ) უწყევს კონსულტაციას საბავშვო ბაღებსა და სკოლის პედაგოგებს სათამაშოების შერჩევა-გამოყენების საქმეში;

გ) უჩვენებს ბავშვებს საინტერესო, გასართობ, კომუნისტური მშენებლობის ამსახველ სათამაშოების, ისტორიულ-ლიტერატურულ პერსონაჟებს და ამით ხელს უწყობს ბავშვთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას.

დ) აქუშავებს სათამაშოთა ახალ მოდელებს და ექსპონირე-

ბის მეშვეობით ხელს უწყობს მათ შორის საუკეთესოთა დანერგვას მასობრივი წარმოებისათვის.

4. ზემოაღნიშნულ ამოცანათა შესასრულებლად მუზეუმის უფლება:

ა) ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხების ფარგლებში, შემჟავსებელი კომისიის მეშვეობით, საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან და კერძო პირებიდან შეიძინოს სათამაშოთა ნიმუშები;

ბ) მოაწყოს მუზეუმის თანამშრომელთა მივლინება სათამაშოების შეგროვებისა და შესწავლის მიზნით რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში;

გ) გამართოს ორიგინალურ სათამაშოთა და თამაშობათა მუდმივი, დროებითი და მოძრავი გამოფენები რესპუბლიკის ფარგლებში და საგანგებო ნუნართვის საფუძველზე სსრ კავშირის ქალაქებსა და საზღვარგარეთულ ქვეყნებში;

დ) გამოცდილების გაზიარებისა და კოლექციების გაცვლა-გამოცვლის მიზნით დაამყაროს ურთიერთობა როგორც საქართველოს სსრ მუზეუმებთან, ისე მოკავშირე რესპუბლიკების სათანადო ორგანიზაციებთან;

ე) შეაგროვოს პედაგოგთა, მხატვართა, ხელოსანთა და გამომგონებელთა შეხედულებანი სათამაშოთა ვარგისიანობის შესახებ და სათამაშოებზე და თამაშობაზე არსებული სხვა მასალები და დოკუმენტები;

ვ) სათამაშოთა განსახილველად მოაწყოს თათბირები და ამ მიზნით მოიწვიოს მხატვრები, მწერლები, პედაგოგები და ამ საქმით დაინტერესებული სხვა პირები.

5. დაგროვილი მასალების და სათამაშოების პოპულარიზების მიზნით მუზეუმში აწარმოებს არსებულ სათამაშოთა ექსპონატების ფოტო-სურათების ანოტირებას, ადგენს კატალოგებს და ცნობარებს.

II. მუზეუმის სტრუქტურა

6. სათამაშოების მუზეუმს აქვს შემდეგი ძირითადი განყოფილებები: ქართული სათამაშოების განყოფილება, მოკავშირე რესპუბლიკების სათამაშოთა განყოფილება, საზღვარგარეთის ქვეყნების სათამაშოთა განყოფილება და დამხმარე განყოფილებანი—სპეციალური საცავი სამუზეუმო ქონებისათვის, სარესტავრაციო საცდელ-საწარმოო სახელოსნო, ფოტო-ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, არქივი.

7. მუზეუმის შტატს ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საერთო წესისამებრ.



III. მუზეუმის მართვა-გამგებლობა

8. მუზეუმი მუშაობს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული წლიური გეგმების საფუძველზე.

9. მუზეუმის სათავეში დგას დირექტორი, რომელსაც ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო. დირექტორი პასუხისმგებელია მუზეუმის მთელი სამეცნიერო-სამეურნეო და საფინანსო მუშაობისათვის. მუზეუმის დირექტორის მოვალეობას შეადგენს გაუწიოს უშუალო ხელმძღვანელობა მუზეუმის სამეცნიერო, საადმინისტრაციო-სამეურნეო და საფინანსო მუშაობას და მუზეუმის სახელით გამოვიდეს წარმომადგენლად სხვადასხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, გაატაროს საჭირო ღონისძიებანი მუზეუმის ამოცანების განსახორციელებლად და მისი სამუშაო გეგმების შესასრულებლად, აგრეთვე თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

10. მუზეუმის განყოფილების გამგე არის სამეცნიერო-საკვლევო და საექსპოზიციო მუშაობის ხელმძღვანელი თავის განყოფილებაში. განყოფილების გამგე პასუხისმგებელია განყოფილების მთელი ქონების დაცვისათვის, მისი სათამაშოების კოლექციებისა და სამუზეუმო მასალების რეგისტრაციისა, აღწერისა და განლაგებისათვის. მუზეუმის განყოფილების ერთ-ერთ გამგეს, დირექტორის ბრძანების საფუძველზე, ეკისრება სწავლული მდივნობა; იგი ეწევა მუზეუმის საბჭოს მდივნობას, აწარმოებს მიწერ-მოწერას აღგენს მუშაობის ანგარიშებს და სხვ.

11. მეცნიერ თანამშრომელი (მეთოდისტი) აწარმოებს სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას, ეწევა კონსულტაციას სათამაშოების საკითხების ირგვლივ და ხელმძღვანელობს მეთოდური მასალების დამუშავებას.

12. მუზეუმის მხატვარი აწარმოებს როგორც განყოფილების მასალების ექსპონირებას, აგრეთვე მთლიანად მუზეუმის მხატვრულ გაფორმებას.

13. მასალების მცველის მოვალეობაა მუზეუმის მასალების დაცვა-შენახვა, მათი აღრიცხვა და მიღებ-გაცემა, აგრეთვე კარტოთეკისა და კატალოგის შედგენა.

14. ექსკურსიის მძღოლი ატარებს საექსკურსიო-მასობრივ მუშაობას, მართავს საუბრებს, აწყობს ლექციებსა და სხვ.

IV. მუზეუმის სამეცნიერო საბჭო



15. მუზეუმთან სათათბირო ორგანოს სახით არსებობს მუზეუმის სამეცნიერო საბჭო.

სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში შედიან: ა) მუზეუმის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე); ბ) მუზეუმის განყოფილებათა გამგეები; გ) მუზეუმის მეცნიერ-მუშაკები (მეთოდისტები); დ) მხატვრები, მწერლები, პედაგოგები; ე) სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების წარმომადგენელი მეცნიერ-მუშაკები.

სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

16. სამეცნიერო საბჭო იკრიბება თვეში ერთხელ და განიხილავს მუზეუმის წლიურ, კვარტალურ გეგმებს და ანგარიშებს; მუზეუმის ახალ ექსპონატებს; მუზეუმის განყოფილებათა ორგანიზაციისა და რეორგანიზაციის საკითხებს; სამუზეუმო ექსპოზიციის განლაგების პროექტებს.

სამეცნიერო საბჭო ადგენს რეკომენდაციებს მუზეუმის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

17. სამეცნიერო საბჭოს დადგენილებებს ამტკიცებს მუზეუმის დირექტორი.

V. მუზეუმის ნივთიერი ბაზა

18. მუზეუმი იმყოფება რესპუბლიკურ ბიუჯეტზე. მუზეუმის ბიუჯეტს შეადგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახელმწიფო ასიგნობანი და სპეციალური სახსრები (გამოცემათა და სხვა შემოსავალი).

19. დამტკიცებული ბიუჯეტის საფუძველზე დგება მუზეუმის ხარჯთაღრიცხვა.

20. მუზეუმს აქვს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ბეჭედი და შტამპი, აგრეთვე საბიუჯეტო და მიმდინარე ანგარიში სახელმწიფო ბანკში.

შინაარსი

1. ბრძანება № 352—საყოველთაო სავალდებულო რეაწლიანი სწავლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ რესპუბლიკაში“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1963 წლის 27 აპრილის დადგენილება და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1963 წლის 8 მაისს მიღებული ბრძანება ამ დადგენილების გამო 3
2. ბრძანება № 280—ახალციხისა და ხაშურის რაიონების სალამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შემოწმების შედეგების შესახებ 16
3. მოხსენებითი ბარათი ახალციხისა და ხაშურის რაიონების სალამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების შემოწმების შედეგების შესახებ 18
4. დადგენილება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებათა 1962 წლის შედეგებისა და 1963 წლის გვერდის დამტკიცების შესახებ 30
5. ბრძანება № 288— ქ. თბილისის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 42
6. მოხსენებითი ბარათი ქ. თბილისის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 44
7. ბრძანება № 333—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სკოლების სასწავლო კინოთი მომსახურების საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 78
8. ბრძანება № 221—ქვემო ალენის საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებლის მ. მურთაზაშვილის არაპედაგოგიური მოქმედების შესახებ 85
9. დებულება—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო სათამაშოთა მუზეუმისა 86

რედაქტორი უშ. თბილისე
კორექტორი ე. აგლაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/VI-63 წელი. ანაწყო-
ბის ზომა 6×10. ქალაქის ზომა 60×84. სასტამბო
ფორმათა რაოდენობა 5,75.

ფასი 10 კპ.